# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 7 სექტემბერი 1993 № 11 (58) | ფასი 145 კუპონი



3 ზუგდიდში ფეხბურთი დაბრუნდა
„სარბიელის" სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი

4 არგენტინა კვლავ პერუმ გადაარჩინა
კოლუმბია — ფინალისტი

5 მორაგბეთა ჩემპიონატზე

ლიდერი შეიცვალა

6 9 000 000 პაპანაქებაში
რამდენი შეხვედრა მალევებს?

7 სენაკიდან ვენაში
კიდევ ერთი ქართული გუნდი ჩემპიონთა თასზე

8 გრეცკი დაბრუნდა
ჰოკეის ეროვნული ლიგის ამბები


# ქრთამი თუ შეთქმულება?

## ანუ როდის ითამაშებს „დინამო" ჩემპიონთა თასზე?

## ამ კითხვაზე პასუხს 11 სექტემბერს მივიღებთ

### პარასკევი

17.00. „დინამოში" კოპენჰაგენიდან ფაქსი მოვიდა: 13 სექტემბერს ჩამოვდივართ, გთხოვთ „მეტეხში" გვაცხოვროთ და თამაში საღამოს რვა საათზე დაიწყოთო.

20.45. შევიტყვეთ „ფრანს პრესის" გადმოცემული ინფორმაცია: უეფას სადისციპლინო კომისიამ მოხსნა თბილისის „დინამო" ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშებიდან 18 აგვისტოს მატჩის წინ მსაჯების მოქრთამვის მცდელობის გამო. „დინამო" ვერ მიიღებს მონაწილეობას 1994-95 სეზონის ევროტურნირებშიც, თუ მან ამის უფლება მოიპოვა. „დინამოს" შეუძლია აპელაცია შეიტანოს არაუგვიანეს 6 სექტემბრის შუაღამისა.

21.45. ჩვენი კორესპონდენტი უკვე დიღმის ბაზაზეა. იქ მყოფი ფეხბურთელებისთვისაც ეს ცნობა მოულოდნელობაა. ათიოდ წუთში მანქანით მოვიდა შოთა არველაძე, რომელიც ლამის ტიროდა. გუნდის ხელმძღვანელები აწყნარებენ ფეხბურთელებს, თუმცა კარგ დღეში, რასაკვირველია, არც თვითონ არიან. დიღომში მცხოვრებ გულშემატკივრებს სახლში რა გააჩერებდათ და ბაზაზე უკვე საკმაო ხალხია. მათ გუნდის ადმინისტრატორი გია იმნაძე ელაპარაკება და სწორედ მის ლაპარაკიდან შევიტყვეთ, რომ საქმე დღიურ თანხას ეხება.

22.50. ტელევიზიის პირველი არხით საქმის ვითარებაზე საუბრობენ დავით ქლიბაძე და „დინამოს" დირექტორატის წევრი ნუკრი კაკილაშვილი. ირკვევა, რომ უეფადან გამოგზავნილი ფაქსის საფუძველზე მსაჯებისთვის დღიური „დინამოს" უნდა გადაეხადა, მაგრამ ზუსტი თანხა არ იყო მითითებული. „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტმა გია სვანაძემ სთხოვა (წერილობით) „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტს ბადრი ნინუას გადაეხადა მსაჯებისთვის 5 ათასი დოლარი — მთავარ მსაჯს 2 000 (დღეში 500), ორ გვერდითს და სარეზერვოს — ათას-ათასი (დღეში — 250). წერილის ბოლოს მითითებული იყო, რომ საბოლოო ანგარიშსწორების თანხა „დინამოს" დაეწერებოდა. გადაცემის დროს ითქვა, რომ ბადრი ნინუამ ეს თანხა კომპანიის საფირმო კონვერტებით ათიოდე მოწმის, მათ შორის მატჩის კომისრის თანდასწრებით გადასცა მსაჯებს.

იხილეთ მეორე გვერდი

### სამი ვერსია

18 აგვისტოს „დინამო" — „ლინფილდის" მატჩის წინ მსაჯებთან და მატჩის კომისართან მივიდა კაცი, რომელმაც თავი „დინამოს" წარმომადგენლად გააცნო და 5 000 დოლარი შესთავაზა მათ „დინამოს" დახმარების სანაცვლოდ. მისი წინადადება არ მიიღეს.

ფირმა „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტმა ბადრი ნინუამ 5 000 დოლარი კომპანიის საფირმო კონვერტებით ათიოდე მოწმის, მათ შორის მატჩის კომისრის, თანდასწრებით გადასცა მსაჯებს, როგორც სამივლინებო ხარჯების საზღაური.

სასტუმრო „მეტეხში" მეგობრული ვახშმის შემდეგ ბადრი ნინუამ საკუთარი „მერსედესით" წაიყვანა მსაჯები კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში და გზად ფული გადასცა. მსაჯებმა თანხა გადაითვალეს და თქვეს: ო'კეი.



მეთინ სეიბაქანი, ერმან თუროღლუ, ოლჰან ენდემირი — ამათ ნამდვილად იციან, თუ რა მოხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრთამი თუ შეთქმულება?

## შაბათი

მოსკოვის „სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნდა გაზეთის კორესპონდენტის სატელეფონო ინტერვიუ უეფას დისციპლინარული დეპარტამენტის წარმომადგენელ გორან სავიჩთან.

კითხვა: ასეთი სერიოზული გადაწყვეტილების მისაღებად, უეფა, ალბათ, დეტალურად უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ სად, როდის და ვინ მოახდინა ქრთამის მიცემის მცდელობა...

პასუხი: რასაკვირველია, დისციპლინარულმა კომისიამ საფუძვლიანად შეისწავლა ის, თუ რა გარემოებაში მოხდა ეს. 18 აგვისტოს მატჩის წინ მსაჯებთან და უეფას ოფიციალურ დელეგატთან მივიდა კაცი, რომელმაც თავი „დინამოს" წარმომადგენლად გააცნო (და შესთავაზა 5 ათასი დოლარი „დინამოს" მოგებისთვის დახმარებაში. მისი წინადადება კატეგორიულად უარყოფილი იქნა და უკვე მეორე დღეს უეფას სამდივნოს ეცნობა. იქვე შემოვიდა მსაჯის პატაკიც.

კითხვა: ამის შესახებ თბილისში როდის გახდა ცნობილი?

პასუხი: მას შემდეგ, რაც ჩვენ შევისწავლეთ მსაჯის პატაკი და მივხვდით, რომ ბრალდება მოსყიდვის შესახებ საკმაოდ სერიოზული იყო, უეფას წარმომადგენელი დაუკავშირდა „დინამოს" პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას.

კითხვა: როგორი იყო ჟორდანიას რეაქცია?

პასუხი: მან კატეგორიულად უარყო იმის შესაძლებლობა, რომ მოსყიდვის მცდელობა „დინამოს" წარმომადგენლისგან მოდიოდა.

კითხვა: მაგრამ ის, რომ მცდელობას ჰქონდა ადგილი, მან იცოდა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენ არ უშვებთ იმას, რომ ჟორდანია მართალია, რომ ქრთამის შემაძლეველს „დინამოსთან" არავითარი კავშირი არ ჰქონია?

პასუხი: შესაძლებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრალი მაინც „დინამოს" მიუძღვის. რეგლამენტის თანახმად ხომ მასპინძელთა კლუბია იმაზე პასუხისმგებელი, რაც მატჩის წინ, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ ხდება.

კითხვა: უეფამ იცის, თუ ვინ შესთავაზა ქრთამი მსაჯებს?

პასუხი: დიახ. ჩვენ ვიცით მისი სახელი, გვარი და მისამართიც კი, მაგრამ სანამ საქმის გარჩევა მიდის, მისი დასახელების უფლება არ გამაჩნია.

კითხვა: „დინამომ" უკვე შეიტანა აპელაცია?

პასუხი: ჯერ არა, მაგრამ ჩვენ შეგვატყობინეს, რომ უახლოეს საათებში აპელაცია უეფაში იქნება.

კითხვა: როდისაა აპელაციის შეტანის ბოლო ვადა?

პასუხი: 6 სექტემბრის შუაღამე.

კითხვა: როდის განიხილება აპელაცია?

პასუხი: 11 სექტემბერს საააპელაციო კომისიის სხდომაზე. მისი გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

კითხვა: „დინამოს" რომ „ლინფილდთან" მოეგო, უეფა მაინც აღძრავდა ამ საქმეს?

პასუხი: ასეთ შემთხვევაში უეფას მოვალეობა უცვლელია, ჩვენ მივიღეთ ცნობა მოსყიდვის მცდელობაზე და ვალდებული ვართ გამოვიკვლიოთ.

11.00. დილმის ბაზაზე არაფერი ახალი არ იციან. საცოდავი სანახავები არიან ფეხბურთელები. ერთი ზოიძე ცდილობს ხასიათის გამოსწორებას — მან ხომ ახალი მანქანა იყიდა. კლუბის დირექტორატის წევრი უჩა მალაზონია სიგარეტს სიგარეტზე ეწევა და სიმწრისგან ბაზის პერსონალს ხან რას აყვედრებს და ხან რას. ედუარდ შევარდნაძეს განზრახული აქვს უეფას პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს წერილი მისწეროს, რასაც აკეთებს კიდეც. ზოგი იმასაც იძახის, შევარდნაძე ტელეფონით თურქეთის პრეზიდენტს ელაპარაკაო.

13.30. უნდა გაფრინდეს თბილის-ფრანკფურტის რეისი. როგორც შევიტყვეთ, თვითმფრინავში ბადრი ნინუა იმყოფება. იგი შვეიცარიაში წასვლას აპირებს. მას წინა ღამით უკვე უსაუბრია თავის უცხოელ ადვოკატებთან.

18.15. მეორე არხის საინფორმაციო გამოშვება იუწყება, რომ „დინამოსა" და „ბანის" პრეზიდენტის ინტერესებს აპელაციაზე 6 ადვოკატი დაიცავს: სამი „დინამოსი" და სამიც - ნინუას ადვოკატები.

21.50. BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში „ლინფილდის" მდივანმა დერი ბრუკმა განაცხადა, რომ კლუბს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ვინმე ვინმეს ქრთამავდა: „ჩვენ თბილისის მატჩში მსაჯობის წინააღმდეგ პრეტენზიის საბაბი არ გვქონია და საერთოდ, იქ რომ დავმარცხდით, ჩვენს გარდა ვერავის დავაბრალებთ. პირიქით, პირველი მატჩის შემდეგ მსაჯობა შევაქეთ კიდეც". BBC-ს კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა რეაქცია გამოიწვია იმან, რომ ახლა „ლინფილდი" ხვდება „კოპენჰაგენს", დერი ბრუკი პასუხობს: ტელეფონი გაუთავებლად რეკავდა — გულშემატკივრებს აინტერესებდათ, მართალი იყო თუ არა ეს ინფორმაცია. ჩვენ დაბნეულები ვიყავით, რადგან ვერც წარმოგვედგინა, რომ ისეთი გუნდი, როგორიც თბილისის „დინამოა", მსაჯების მოქრთამვას იკადრებდა. კითხვას — შეგიძლიათ მომხდარს ირლანდიელთა იღბალი უწოდოთ? — „ლინფილდის" მდივანმა უპასუხა: შეგიძლიათ ირლანდიელთა იღბალი უწოდოთ, შეგიძლიათ — „ლინფილდის". ვისაც რა სურს, ის დაარქვას.

შუაღამის შემდეგ. თბილისში ჩამოფრინდნენ მერაბ ჟორდანია და ნოდარ ახალკაცი, რომლებიც შვეიცარიაში იმყოფებოდნენ.

## კვირა

16.00. ნოდარ ახალკაცი ინტერვიუს აძლევს ამერიკული ტელეკომპანია WTN-ის წარმომადგენლებს: როგორც კი გავიგეთ, რომ მსაჯები თურქეთიდან იყვნენ, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში წერილი გავაგზავნეთ, სადაც ვთავაზობდით ჩვენი მანქანით ტრაპიზონში ჩასვლას და მათ ბათუმში ჩამოყვანას, საიდანაც თბილისში გადმოფრინდებოდნენ, მაგრამ მათ პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. მას შემდეგ მოვიდა უეფას ფაქსი, სადაც ეწერა, რომ მსაჯები თურქეთიდან ჯერ ვენაში, იქიდან კი მოსკოვში ჩავიდოდნენ და 17 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდოდნენ. მართალია, ფაქსში ეწერა, რომ ჩვენი ჩასვლა მოსკოვში აუცილებელი არ იყო, მაინც გადავწყვიტეთ იქ ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ უეფას სიტყვა მივეცით — მატჩის ყველა მონაწილე ჩვენთან დროულად ჩამოვაო. მოსკოვში ჩავიდნენ ავთო კოკაია და თურქული ენის მცოდნე ზაურ მჭედლიშვილი. ისინი აეროპორტში დახვდნენ თურქ მსაჯებს და სასტუმრო „პენტაში" წაიყვანეს. აქ მსაჯებმა უარი თქვეს ფულის გადახდაზე. ჩვენმა წარმომადგენლებმა ისინი სასტუმრო „რედისონში" გადაიყვანეს და იქ მოათავსეს. მსაჯებმა თქვეს: თუ ფულს არ გადაგვიხდით, უკან დავბრუნდებითო და ჩვენებს სასტუმროში ფულის გადახდა მოუწიათ. ამ გადახდილი თანხის საბუთი გვაქვს და უეფაშიც წარვადგინეთ, მაგრამ ზედაც არ დახედეს. თბილისში მსაჯებს აეროპორტში დავხვდით და კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში წავიყვანეთ, სადაც მათ უნდა ეცხოვრათ. ოთახში მე უეფას ოფიციალურ დელეგატს კარელ ფერტონგენს ვაჩვენე 10 აგვისტოს მიღებული ფაქსი. მას გაუკვირდა, რომ დღიურის გადახდას ჩვენ გვავალებდნენ და თქვა: თუ ასეა, მიეცითო. მეორე დღეს, სასტუმრო „მეტეხში" მეგობრული ლანჩის (მასზე მსაჯები, კომისარი, „ლინფილდის" წარმომადგენლები და „კოპენჰაგენის" მწვრთნელი იყვნენ) შემდეგ ბადრი ნინუამ საკუთარი „მერსედესით" წაიყვანა მსაჯები კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. გზაში მან გადასცა ფული მსაჯებს. მათ დაითვალეს და თქვეს: ო'კეი.

ახალკაცის თქმით, მსაჯების თბილისში ყოფნის დროს მათ ყველა სურვილი შეუსრულეს გარდა ერთისა: თურქებმა თხოვნით მიმართეს „დინამოს" წარმომადგენლებს, რათა „დინამოს" ფორმის ოთხი კომპლექტი მიეცათ მათთვის, მაგრამ ამაზე უარი უთხრეს. ინტერვიუს ბოლოს ახალკაცმა უეფას გადაწყვეტილებას თბილისის „დინამოს" და მთელი ერის დისკრიმინაცია უწოდა.

21.20. ტელეფონით დავუკავშირდი საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტს ავთო კოკაიას, რომელიც თარჯიმანთან ერთად მოსკოვში დახვდა თურქ მსაჯებს.

ბატონმა ავთომ თქვა, რომ ისინი აეროპორტშივე დახვდნენ მსაჯებს და სასტუმრო „პენტაში" წაიყვანეს, მაგრამ ვინაიდან ის ძალიან ძვირი გამოდგა (დაახლოებით 300 დოლარი კაცზე), ამიტომ მსაჯები „რედისონში" (ყოფილი „სლავიანსკაია") დააბინავეს. ჩემს შეკითხვაზე, იყო თუ არა მსაჯების მხრიდან მუქარა — თუ არ გადაგვიხდით ფულს, უკან წავალთო — კოკაიამ კატეგორიულად განაცხადა: მსგავსი არაფერი ყოფილაო. ბატონ ავთოს თქმით, მათ საღამოს თურქები არბატზე მდებარე ქართულ ცენტრში ჰყავდათ, მეორე დილით კი აეროპორტში წაიყვანეს და თუმცა, რეისმა სამი საათით დაიგვიანა, თბილისში დროზე ჩამოვიდნენ. მას შემდეგ მე მათთან კავშირი აღარ მქონია — თქვა კოკაიამ.

22.04. საქართველოს ტელევიზიის I და II არხით დაიწყო მერაბ ჟორდანიას გამოსვლა. თუმცა სტუდიაში საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი შალვა რჩეულიშვილიც იმყოფება, მთავარი მაინც ჟორდანიას გამოსვლაა. მან თქვა, რომ ბელფასტში წასვლამდე სამი დღით ადრე მიიღო ცნობა უეფადან, სადაც ამ „ქრთამის" შესახებ იყო საუბარი და სადაც ეწერა, რომ 3 სექტემბერს „დინამოს" პრეზიდენტი სადისციპლინო კომისიის სხდომაზე უნდა გამოცხადებულიყო. ჟორდანიას თქმით, მან ეს არასერიოზულად მიიჩნია და არავის გააგებინა, რათა ამას ფეხბურთელებზე არ ემოქმედა განმეორებითი მატჩის წინ. შემდეგ მან თითქმის იგივე გაიმეორა, რაც ახალკაცმა, მაგრამ მისი ვერსიით, ბელგიელ კომისარს ჰკითხეს — მსაჯებს რამდენიმე მივცეთო და მან — თვითონ გეტყვიანო — უპასუხა. პარასკევის სხდომის შესახებ ბატონმა მერაბმა თქვა, რომ სხდომის წინ უეფას გენერალურმა მდივანმა აიგნერმა აღიარა, რომ 10 აგვისტოს გამოგზავნილი ფაქსი შეცდომა იყო. თავად სხდომაზე კი მერაბს არ მისცეს საშუალება თავისი არგუმენტები მოეყვანა და მხოლოდ კითხვებზე უპასუხეო — უთხრეს, ხოლო ნოდარ ახალკაცს საერთოდ ხმა არ ამოაღებინეს. გადაცემის მსვლელობისას შევიტყვეთ, რომ დაქირავებულია 6 ადვოკატი, რომელთაც 120 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს „დინამომ" საქმის ნებისმიერი ვარიანტით დამთავრების მიუხედავად.

## ორშაბათი

14.00. როგორც შევიტყვეთ, აპელაციის ტექსტი ჯერ არ არის გაგზავნილი.

16.40. საერთაშორისო სატელეფონო სადგურის თანამშრომლებმა ბერნს დაგვაკავშირეს. მორიგეს ვთხოვეთ, რომ იურიდიული დეპარტამენტის რომელიმე წარმომადგენელი დაგველაპარაკებოდა. ყურმილი გორან სავიჩმა აიღო:

— **გამარჯობათ, გაზეთი „სარბიელი" გაწუხებთ. თანახმა ხართ თბილისის „დინამოს" საქმის გარშემო ორიოდ კითხვაზე გვიპასუხოთ?**

— დიახ.

— **ჩვენ ვიცით, რომ 10 აგვისტოს გამოგზავნილ ფაქსში უეფას გენერალური სამდივნო ავალდებულებდა „დინამოს" მსაჯებისთვის დღიური გასამრჯელო მიეცათ. ეს სიმართლეა?**

— არა. იმ ფაქსში ეწერა, რომ ფული მასპინძლებს იმ შემთხვევაში უნდა მიეცათ, თუ ამას მსაჯები მოითხოვდნენ. ყოველ შემთხვევაში, ის თანხა, რომელიც მსაჯებს გადასცეს, გაცილებით აღემატება დადგენილ ნორმებს.

— **„სპორტ-ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვენ ამბობთ, რომ „მსაჯების მიერ ეს წინადადება კატეგორიულად უარყოფილი იქნა". მათ ფული არ აუღიათ?**

— ფული რომ აიღეს, ეს მათი მხრიდან გამართლებული საქციელია. იყო ქრთამის მიცემის მცდელობა, მსაჯებმა ფული აიღეს და პირველივე ხელსაყრელ მომენტში უეფას ოფიციალურ დელეგატს შეატყობინეს.

— **თუ მიიღეთ „დინამოს" აპელაცია?**

— არა, მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო.

— **თქვენი აზრით, აქვს თუ არა „დინამოს" ამ საქმის მოგების შანსი?**

— ბოდიში, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

17.20. „ბანი და კომპანიის" ოფისიდან, სადაც იმყოფებიან მერაბ ჟორდანია და ნოდარ ახალკაცი, უეფაში ფაქსი გაიგზავნა. აპელაციის მოკლე შინაარსი ასეთია: არ ვეთანხმებით დისციპლინარული კომისიის გადაწყვეტილებას. გვაქვს უამრავი არგუმენტი ჩვენს სასარგებლოდ, რომელთაც ადგილზე წარმოგიდგენთ.

19.30. იმავე ოფისში შევხვდი ჟორდანიას და ვთხოვე, კიდევ ერთხელ დაეზუსტებინა ის მომენტი, როცა მათ კომისარს უეფადან მიღებული ფაქსი აჩვენეს. „კომისარმაც და მსაჯებმაც იცოდნენ, რომ ფული უნდა მიგვეცა. „მეტეხში" გამართულ სადილზეც ჩვენ მათ ვუთხარით, რომ ეხლა სასტუმროში რომ წაგიყვანთ, ის კაცი მოგცემთ ფულსო" — თქვა ჟორდანიამ.

— **როდის მიფრინავ შვეიცარიაში?**

— ხვალ ან ზეგ.

ასეთი იყო მომხდარი ამბების ქრონოლოგია „დინამოს" დისკვალიფიკაციის გამოცხადებიდან გუშინ საღამომდე. თითქოს ბევრი რამ შევიტყვეთ, მაგრამ სინამდვილეში როგორ იყო საქმე, ამაზე პასუხის გაცემა მაინც გვიჭირს. გამოიკვეთა ორი ვერსია: „დინამოსი" და უეფასი, ანუ ქართული და თურქულ-შვეიცარული. პირველის მიხედვით ბადრი ნინუამ უეფას მოთხოვნის შესაბამისად დღიური გასამრჯელო გადასცა მსაჯებს, მეორეს თუ დავუჯერებთ, იგივე ნინუას 5 ათას დოლარად მსაჯების მოსყიდვა სდომებია. ეს ორი ვერსია შეეჯახება ერთმანეთს შაბათს, 6 საათზე უეფას სააპელაციო კომისიის სხდომაზე და რომელი გაიმარჯვებს, კაცმა არ იცის. ისე კი, ზედიზედ ორი აპელაციის მოგება უეფასთან არნახული საქმეა, მაგრამ მთელ საქართველოს რომ 120 ათას დოლარად დაქირავებული ექვსი ადვოკატის იმედი აქვს, ესეც ნაღდია.

პირველი აზრი, რომელიც ამ საქმის შემხედვარე კაცს გაგიჩნდება, ისაა, რომ ისჯება სრულიად უდანაშაულო გუნდი. დიახ, გუნდი. და არა კლუბი. სწორედ ფეხბურთელები არიან ყველაზე ცოდონი. თუმცა, რატომ ისინი? ბოლოსდაბოლოს, ფეხბურთელები უცხოეთში წავლენ და იქ ითამაშენ დიდ ფეხბურთს, მაგრამ რა ჰქნას გულშემატკივარმა? ისიც ხომ ვერ წავა? ამ საქმის საბოლოო შედეგზე ბევრადაა დამოკიდებული მთლიანად ქართული ფეხბურთის ბედი.

ევროპული ტურნირების ისტორიაში ასეთი განაჩენით ჯერ არავინ მოუხსნიათ. რატომ მივიდა საქმე ასეთ სამარცხვინო გამოძევებამდე? ის, რომ უეფა ამ საქმეში მთლად მართალი ვერ არის, ფაქტია. ამ სოლიდურ ორგანიზაციას არ ეკადრება ისეთ ამბავში „ჩაჭრა", რომელსაც ნებისმიერი კოოპერატივი წარმატებით გაართმევს თავს „ თუ წერ, გადაუხადეო, მაშინ მიაწერე, რამდენი. მაგრამ უეფა უეფად, ის არასოდეს აღიარებს თავის შეცდომას და თუ აღიარებს, მხოლოდ კულისებში. მთელი საფეხბურთო მსოფლიოსთვის თბილისის „დინამო"დარჩება იმ კლუბად, რომელიც 5 ათას დოლარად აპირებდა მსაჯის მოქრთამვას.

ჩემი აზრით, ეს ქრთამი არ არის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩემი აზრით. შეიძლება, არის კიდეც. თუმცა ვერსიებს თუ მივყვებით, ასობით შეიძლება ჩამოთვლა: ზოგი ამბობს, რომ უეფას და ბევრ სახელგანთქმულ კლუბს არ აწყობთ ასეთი ძლიერი აღმოსავლეთევროპული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში (შეიძლება!), ზოგი — რომ თურქეთში მცხოვრებმა აფხაზებმა „იჩალიჩეს" რამე. ყველას თავისი ვერსია გააჩნია.

მაგრამ მოდით ჩვენ თავს მოვკითხოთ პასუხი. ოთხი დღეა, ნერვებდაწყვეტილი დადის ისედაც გაუბედურებული ხალხი, მაგრამ ერთი არ იტყვის — რაღაცა ჩვენი ბრალიცააო. ადვოკატიც კი იმას იძახის, იქნებ მსაჯებს „ლინფილდმა" მისცა რამეო. ხშირად გაისმის ტელეეკრანიდან — ქართველებს ქრთამის მიცემას როგორ გვასწავლიანო — თითქოს საამაყო იყოს. საფირმო კონვერტში რომ ჭკუათმყოფელი კაცი ქრთამს არავის მისცემს, ნათელია, მაგრამ ჩემპიონთა თასის მატჩზე ჩამოსულ მსაჯთა ბრიგადას მანქანაში რომ მისცემს ფულს, თანაც „ინგლისურში რომ მოიკოჭლებს" ის კაცი — დამეთანხმებით, არც ესაა მთლად ცივილიზებული მეთოდი. ანდა რა იყო ეს მოსკოვში წასვლა? ვეთანხმები — მსაჯები რომ დროზე ჩამოსულიყვნენ, ამისთვის მოსკოვშიც უნდა წასულიყვნენ და თუ საჭირო იქნებოდა, მადაგასკარშიც, მაგრამ სასტუმროში ფულის გადახდა (სანდო წყაროებით, დაახლოებით 800 დოლარი) დააჩქარებდა მათ ჩამოსვლას? ის, რომ მსაჯებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ჩქარა გადაიხადეთ, თორემ წავალთო, არარეალურად მეჩვენება: ჩვენი წარმომადგენლები რომ არ ჩასულიყვნენ, მაშინ რას იზამდნენ, ბიშოვეცს ან სადირინს ხომ არ გამოართმევდნენ ფულს? თუმცა, კიდევ ვიმეორებ, საქმის ნამდვილ ვითარებას ჩვენ კიდევ კარგა ხანი ვერ გავიგებთ, თუ საერთოდ როდესმე გავიგეთ. ახლა ყველაზე მეტს, რა თქმა უნდა, ნინუა იბრძვის. მან უდანაშაულო გუნდის დაშვებასთან ერთად თავის სახელსაც უნდა ჩამოწმინდოს მოცხებული ჩირქი. როგორც ტელევიზიით [illegible]

[illegible]

ზურაბ მიქელია



„ლინფილდს" კვლავ გაუჩნდა მეთექვსმეტედფინალში მონაწილეობის შანსი

# ზუგდიდში ფეხბურთზე ბჭობენ





კობა წიტაიშვილი

კობას ეროვნულ ჩემპიონატში დებიუტი 23 აგვისტოს ჰქონდა. აქ დღეს იგი 14 წლისა და 230 დღის იყო. თუ გინესების წიგნში არა, იმედია საქართველოს რეკორდების წიგნში „ჯოტიაში" უეჭველად მოხვდება.

ზუგდიდიდან გადმოცემულ რეპორტაჟში ავღნიშნე, რომ ქალაქი ამ დღეს ფეხბურთით ცხოვრობდა. მეორე დღესაც მთელს ზუგდიდში თანაბრად იყო განაწილებული ორი თემა — პოლიტიკა და ფეხბურთი. ასე განსაჯეთ, რუსთაველის ქუჩაზე, დაუმორჩილებლობის კომიტეტის წინაც კი საუბრობდნენ ფეხბურთზე. ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატთაგან ზოგი სინანულსაც კი გამოსთქვამდა, რომ 18 აგვისტოს გადაუდებელი საქმეების გამო ვერ უყურა დინამოელთა ბრწყინვალე თამაშს. თუმცა მათ ფეხბურთის გუნდი შექმნეს და ნემო ბურჭულაძის კაპიტონობით მინდორზე იკლავენ ჟინს. გუნდის ერთ-ერთი წევრი, კინორეჟისორი ალეკო ქლენტი თამაშის წინ და შემდეგ კარგა ხანს ესაუბრა ოდიშელ ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს, სთხოვა მათ მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ მატჩს და არ დაეშვათ რაიმე ლაფსუსი, ვაჟკაცურად ეთამაშათ და სანიმუშოდ მოქცეულიყვნენ მინდორზე თუ მის ფარგლებს გარეთ, რათა ამდენი ხნის იზოლაციის შემდეგ ბოლოსდაბოლოს ერთხელ და სამუდამოდ დაბრუნებულიყო ფეხბურთი ზუგდიდში. ბატონმა ალეკომ „ოდიშის" ხელმძღვანელებს სიცილიის ქალაქ პალერმოსთან და მათ საფეხბურთო კლუბთან დამეგობრებაში დახმარება აღუთქვა. ისე ჩემთვის ცოტა არ იყოს სევდიანი იყო ლაპარაკი კაცთან, რომელმაც მაშინ ფაქტობრივად აბსურდული იდეა — ეროვნული ჩემპიონატის გამართვა პირველმა განაცხადა და ყველაფერი იღონა მის გასამართავად, ახლა კი, როცა ასრულდა ქართველი გულშემატკივრის ოცნება, არ ჰქონდა საშუალება უშუალოდ ტრიბუნიდან ედევნებინა თვალი დინამოელთა ლამაზი თამაშისათვის.

ზუგდიდში ფეხბურთი დაღუპვის პირას იყო, როდესაც ერთმა ზუგდიდელმა კაცმა, დავით დავითულიანმა მას დახმარების ხელი გაუწოდა.

## დავითულიანი — „ოდიშის" მხსნელი

წარსულს ჩაბარდა ძველი დრო, როდესაც ამა თუ იმ გუნდის შენახვას შესაბამისი რაიონის რაიკომის პირველი მდივანი კისრულობდა. პროფესია — ფეხბურთელი მაშინ არ არსებობდა, გააფორმებდნენ ფეხბურთელს კარიერზე, მაღაროში, ჩაის ფაბრიკაში და ისე უხდიდნენ ხელფასს. დღეს ეს შეუძლებელია და უმაღლეს ჯგუფში ფეხბურთის გუნდის შენახვა იმხელა ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ თუ სპონსორი არ გამოუჩნდა, გუნდი უბრალოდ დაიშლება. აქ საუბარია საქართველოს ნებისმიერ გუნდზე, მაგრამ ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ სამეგრელოს რეგიონში გუნდის შენახვა ერთიორად ძნელია. ვინღა არ მფარველობდა ზუგდიდის „ოდიშს" ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ თითქმის ყველა სპონსორი სეზონური გამოდგა და „ოდიშს" მუდამ თავიდან უხდებოდა მარჩენალის ძებნა. როგორც 27 აგვისტოს ზუგდიდში ჩასულს მითხრეს „ოდიშს" ამიერიდან აღარ ექნება პრობლემები, რადგან კლუბის პრეზიდენტის თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნული ოთარ ფაცაციას ნაცვლად მოვიდა დავით დავითულიანი, კაცი, რომელსაც ზუგდიდელები იმედით შეჰყურებენ და რომელსაც დიდი გეგმები ჰქონდა „ოდიშთან" და საერთოდ ფეხბურთთან დაკავშირებით.



დავით დავითულიანი

**— ბატონო დავით, თქვენი ნაბიჯი ოთარ ფაცაციასი არ იყოს ყულფში თავის გაყოფას უდრის და მაინც, გადადგით ეს ნაბიჯი.**

— საქართველოს კეთილდღეობის გარდა ცხოვრებაში ორი დიდი მიზანი მაქვს — ძეგლი დავუდგა ლევან II დადიანს ზუგდიდში და „ოდიში" ერთხელ და სამუდამოდ შევიყვანო ქართული ფეხბურთის ელიტაში. მე და ჩემი სამი მეგობარი, სოსო კაკულია, მამუკა ნარმანია და გია ხასია გავხდით კლუბის მეპატრონეები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია კლუბის საკუთრების ასეთი ფორმა მხოლოდ თბილისის „დინამოშია". დაფუძნების ფონდი 40 მილიონი მანეთია. ეს თანხა რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია, მაგრამ მე სხვა გეგმებიც მაქვს. ერთადერთი, რაც „ოდიშს" გადაარჩენს, კომერციაა. სასწრაფოდ უნდა მოვიზიდოთ კომერციული ფირმები, არენდით უნდა გავცეთ სტადიონის მიმდებარე ტერიტორია, შემოსული თანხა კი კლუბს მოვახმაროთ.

**— რამდენადაც ვიცი, ადრე ფეხბურთთან არავითარი კავშირი არ გქონდათ.**

— გუნდში არასდროს მითამაშია, ეზოში და უბანში კი ყველა თამაშობს საქართველოში. მე და ოთარ გაბელია ერთად გავიზარდეთ, ჩემი მეზობელი იყო ბორის სიჭინავა, ვმეგობრობდი სხვა ფეხბურთელებთანაც. იმდენად დიდი იყო ფეხბურთის სიყვარული, რომ მაინც წავედი ამხელა რისკზე. დღეს ამ არეულობაში ვერ წარმოიდგენთ რას ნიშნავს, უპატრონო გუნდს.

**— რას ეყრდნობოდით, როცა „ოდიშის" პრეზიდენტობას დათანხმდით?**

— ჩემი ზუგდიდელების, ჩემი მეგობრების სიყვარულს. ქალაქის პოლიციამ (შეფი — პოლკოვნიკი თორნიკე ქირია), პროკურატურამ (კიაზო ჭანტურია), ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტმა და თვითონ ბატონმა ლოთი ქობალიამ ყოველმხრივი დახმარება აღმიქვეს. იმედია, არც ბატონი ოთარ ფაცაცია დაგვივიწყებს.

**— ზემოთ ახსენეთ, რომ ძლიერი გუნდის შექმნა გსურთ. მაგრამ უკვე გვაჩვენა პრაქტიკამ, რომ ძლიერი გუნდი ბაზის გარეშე საპნის ბუშტივით გასკდება.**

— მართალი ბრძანდებით. ეს საკითხი ჩვენს პროგრამაში შედის, მაგრამ ახლა, უპირველეს ამოცანად გუნდის შენარჩუნება მიმაჩნია. წლეულს, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შეიქმნა, სულ ახალგაზრდებით დაკომპლექტებული. ჩვენი მიზანია ამ სეზონში პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება. მომავალი სეზონიდან კი გავაძლიერებთ გუნდს და ნელ-ნელა შევუდგებით ჩვენი მიზნის განხორციელებას.

**— პრაქტიკამ ისიც გვიჩვენა, რომ მოწვეული ფეხბურთელებით წარმატების მიღწევა დროებითი გამარჯვებაა.**

— ჩვენი დევიზი არის წარმატების მიღწევა ადგილობრივი ფეხბურთელებით. სამწუხაროდ, ჩვენგან მარტო მოწვეული ფეხბურთელები არ მიდიან, ადგილობრივებიც გვტოვებენ. წლეულს კვიტაიანი და ჯანაშია გამოგვაკლდა. ეს ფეხბურთელები „ოდიშს" უნდა უმადლოდნენ ყველაფერს, მაგრამ მაინც წავიდნენ. სხვათაშორის, მაინცდამაინც არ ვამტყუნებ მათ, როცა გუნდში ელემენტალური პირობებიც კი არ არის, ბუნებრივია, ფეხბურთელი უკეთესს ეძებს. სწორედ ამიტომ ჩავუდექით მე და ჩემი მეგობრები გუნდს სათავეში, რომ მიგრაცია შეწყდეს და ზუგდიდელები ზუგდიდში დარჩნენ. ეს არ გამორიცხავს, რომ ერთი-ორი ფეხბურთელი სხვა კლუბებიდანაც მოვიწვიოთ, მაგრამ ვიმეორებ, მოთამაშეთა 90 პროცენტი ზუგდიდელები იქნებიან.

**— ზუგდიდში ახლა რთული ვითარებაა. შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთისთვის არავის სცხელა. როგორ გესახებათ გუნდის და საერთოდ, ფეხბურთის მომავალი?**

— თქვენ რამდენიმე დღეა ქალაქში ხართ და თავად დარწმუნდით, როგორი სიმშვიდე სუფევს აქ. მაყურებელთა მოქმედებაც ნახეთ ოჩამჩირელებთან მატჩში. იმედია ბოლოს და ბოლოს შევრიგდებით ქართველები. თუ ცოტა-ცოტა არ დავუთმეთ ერთმანეთს, არაფერი გამოვა. კონფრონტაციამ სადამდე მიგვიყვანა, ყველამ დაინახა. ათასი ჭორი დადის სამეგრელოზე, მაგრამ გარწმუნებთ, აქაურებს არავისზე ნაკლებად უყვართ საქართველო და თუ ვინმე თბილისში სხვანაირად ფიქრობს, ძალიან სცდება. ჩამობრძანდეს აქ და თავისი თვალით დარწმუნდება ამაში.

**— სტადიონი კლუბის ბალანსზეა?**

— ადრე თუ გვიან ჩვენს ბალანსზე გადმოვიყვანთ. სტადიონი მთელი ზუგდიდისთვის ჯანმრთელობისა და დასვენების კერა უნდა გახდეს. იმედია, მალე ყველაფერი დაწყნარდება და მეორე სტადიონის მშენებლობასაც დავამთავრებთ, რომელიც ამჟამად უსახსრობის გამო შეჩერებულია. ახალი სტადიონი ევროპული სტანდარტების დონეზე იქნება.

**— დღევანდელი გადასახედიდან ხომ არ თვლით, რომ უაზრო საქმეს მოჰკიდეთ ხელი?**

— პირიქით. ფეხბურთი ქართველ კაცს სისხლში აქვს გამჯდარი. დღეს ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ვართ, მაგრამ აქ ისევე გაეხარდათ „დინამოს" მოგება „ლინფილდთან", როგორც თბილისში. ფეხბურთმა უნდა შეაკავშიროს ერი. ღმერთი განსჯის ვინ მართალია და ვინ მტყუანი. მე კი მინდა პირნათელი ვიყო ჩემი ზუგდიდელების წინაშე, რადგან ჩემი შვილი აქ იზრდება, ჩემმა შვილიშვილებმაც ზუგდიდში უნდა იცხოვრონ. ხომ გახსოვთ, რა გითხარით ინტერვიუს დასაწყისში? ჩემი მიზანი საქართველოს კეთილდღეობასთან ერთად არის ლევან მეორე დადიანის ძეგლის დადგმა ზუგდიდში და საფეხბურთო კლუბ „ოდიშის" ევროპული დონის გუნდად ჩამოყალიბება.

ინტერვიუს შემდეგ ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ეროვნული ჩემპიონატის მამამთავარ ალეკო ქლენტთან, ფ.კ. „ოდიშის" პრეზიდენტთან და სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ფეხბურთი ვითამაშეთ. უნდა ითქვას, რომ დავითულიან-ქლენტის ტანდემმა ბევრი უსიამოვნება შეუქმნა ჩვენს კარს, მაგრამ თქვენი მონა-მორჩილის, ჩვენი ზუგდიდელი კორესპონდენტის რომან გაბისონიასა და „ოდიშის" მთავარი მწვრთნელის ბადრი თუთბერიძის აქტიურობის შედეგად თამაში ფრედ — 3.3 დამთავრდა. სამწუ-ხაროდ, ნემო ბურჭულაძისა და გურამ პეტრიაშვილის ოსტატობის შეფასების საშუალება არ მომეცა, რადგან ისინი იმ დროს ფეხბურთზე უფრო სერიოზული საქმით იყვნენ დაკავებულნი.

## ბადრი თუთბერიძე: უფეხბურთო ზუგდიდი ზუგდიდი არაა!

„ოდიშის" მთავარ მწვრთნელს ერთხელაც არ მიეცა საშუალება თავისი შესაძლებლობების სრულად



ბადრი თუთბერიძე მატჩის წინ

წარმოჩენისა: ხან ომმა, ხან მოთამაშეთა დიდი ჯგუფის წასვლამ, ხანაც „შინაურ კედლებში" მატჩების არგამართვამ დიდი ზიანი მიაყენა „ოდიშს", თუმცა ზუგდიდელებმა ჩემპიონატი მაინც არ მიატოვეს და ყველა გაჭირვების მიუხედავად გუნდი შეინარჩუნეს. ამაში „ლომის წილი" ყველაზე „ზუგდიდურ ზუგდიდელს", ოცი წლის განმავლობაში ზუგდიდში მოთამაშე ბადრი თუთბერიძეს მიუძღვის. თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე თუთბერიძემ ზუგდიდის „დინამოში" ექვსასამდე მატჩი ითამაშა და ოთხასამდე გოლი გაიტანა. იყო დრო თბილისის „დინამოშიც" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მაინც არ მიატოვა ზუგდიდი. ძველი გულშემატკივრები იმასაც ამბობენ, რომ თუთბერიძეს თბილისში რომ ეთამაშა თამამად დადგებოდა მანუჩარ მაჩაიძისა და დავით ყიფიანის გვერდით.

**— ბატონო ბადრი, უპირველეს ყოვლისა, თქვენ პრობლემებზე გვესაუბრეთ.**

— პრობლემებს ზუგდიდში რა გამოლევს. წლეულს ცხრა ფეხბურთელმა დატოვა კლუბი [illegible] აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივები [illegible] მათზე მე დიდ იმედებს ვამყარებდი, მაგრამ რა [illegible] სასწრაფოდ დავაკომპლექტეთ გუნდი. მოწვეული მოთამაშეები დარჩელის „ჩელადან", წალენჯიხის „სქურიდან", ზუგდიდის „შევარდენიდან". რამდენიმე ახალგაზრდა ჩვენი სკოლიდანაც ავიყვანეთ. მრავალი მათგანი წელიწადი უთამაშებელი იყო და ახლა სუსტად არიან ფიზიკურად. მაგრამ სპეციალური ვარჯიშების შემდეგ პირველი წრის ბოლოს შევალთ ფორმაში.

**— ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდის საკითხი როგორ დგას?**

— გვყავს ძალზე ნიჭიერი მომავალი თაობა, რომელთანაც თამაზ როგავა და გიორგი კალანდია მუშაობენ. სულ სამი თაობის ბავშვები გვყავს: 76-77, 79-80 და 81-82 წლებში დაბადებულები. ბევრი მათგანი გუნდთან ერთად ვარჯიშობს. კობა წიტაიშვილმა უკვე ითამაშა კიდეც. მომავალი სეზონიდან მათ უფრო თამამად გამოვიყენებ. მინდა ზუგდიდშიც შეიქმნას ისეთი საფეხბურთო სკოლა, თბილისში ვოვა ელოშვილს რომ აქვს.

**— არეულობა არ გაშინებთ?**

— მე პოლიტიკაში არ ვერევი, მე ჩემს ვალად საქართველოსა და ზუგდიდის წინაშე ამ გუნდის შენარჩუნება და ლიდერად გადაქცევა მიმაჩნია. გარდა ამისა, ამდენი ახალგაზრდა რომ ფეხბურთით იცხოვრებს და გზას არ ასცდება, განა ეს სამშობლოსთვის გაღებული წვლილი არაა? მოვა დრო და გაერთიანებულ საქართველოში „ოდიში" ლიდერთა შორის იქნება!

მამუკა ქვარაცხელია

ზუგდიდი.

ავტორის ფოტოები



გაბედავას მესამე გოლი ოჩამჩირელთა კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა



## აღმოსავლეთი
VI ტური

**ერქვანი 3**
**მარგვეთი 3**

გურჯაანი, დავით ყიფიანის სტადიონი
31 აგვისტო

ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, გეგეშიძე (თაბუკაშვილი, 47), ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი, დოლიძე (მოსიკაშვილი, 58), ჭოლოკავა, კიკნაძე, მეტრეველი.
მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გაბრიჭიძე, გიგატაძე, ლონღაძე, წიქარიშვილი, გიორგაძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, სუხიაშვილი, შენგელია.

1:0 კიკნაძე (15)
1:1 მეგრელაძე (16)
1:2 სუხიაშვილი (28)
2:2 კიკნაძე (62)
3:2 მეტრეველი (80)
3:3 მეგრელაძე (90)

გაფრთხილება: კიკნაძე, ჭოლოკავა, გაბრიჭიძე, სუხიაშვილი
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**საპოვნელა 4**
**დილა 0**

თერჯოლა, ცენტრალური სტადიონი
31 აგვისტო

საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი (გურაბანიძე, 77), გეწაძე, ხვარეშია, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი (ჭულუხაძე, 46), ჩინჩალაძე.
დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ნკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე (მეტრეველი, 60), ზურაბ ხორგუაშვილი, მინდიაშვილი.

1:0 გოდერძიშვილი (7 პ)
2:0 ჩინჩალაძე (21)
3:0 გოდერძიშვილი (52 პ)
4:0 ჩინჩალაძე (65)

პენალტი ვერ გაიტანა ხორგუაშვილმა (52)
მსაჯი: მ. ჭელიძე (თბილისი)

**მაღაროელი 1**
**იმერია 1**

ჭიათურა, ცენტრალური სტადიონი
31 აგვისტო

მაღაროელი: ხელაძე, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, თამაზაშვილი (ბურძენიძე, 46), აბრამიშვილი (მნყერაშვილი, 75), ბრეგვაძე, ბუიშვილი, კავთელაძე, ნიკლაური, დადუნაშვილი.
იმერია: ტოგონიძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ხარაბიშვილი, მაქაცარია, რობაქიძე, მარლიშვილი (გ. ჩადუნელი, 60), ქობელაშვილი, ბაკურაძე (ტარიელაშვილი, 65).

0:1 ქობელაშვილი (23)
1:1 ნიკლაური (56)

გაფრთხილება: რობაქიძე
გაძევება: რობაქიძე (72, მეორე ყვითელი ბარათი)
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

### გამოტოვებული მატჩები

მარგვეთი — მრეტები 7:0

**მეტალურგი 0**
**მაღაროელი 4**

რუსთავი, სტადიონი „მეტალურგი"
3 სექტემბერი

მეტალურგი: ქორიძე, ქართველიშვილი, ბურნაძე, ჩოჩიევი, დუშუაშვილი, ვ. კილასონია, ზამთარაძე (არსოშვილი, 32), გ. კილასონია, გახოკიძე, მეტრეველი, ღუდუშაური.
მაღაროელი: ხელაძე, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, დადუნაშვილი, აბრამიშვილი, ბრეგვაძე (კოპაროიძე, 80), ბუიშვილი (თამაზაშვილი, 60), კავთელაძე, ნიკლაური, ბურძენიძე.

0:1 ბრეგვაძე (31)
0:2 ნიკლაური (66)
0:3 ბურძენიძე (76)
0:4 ნიკლაური (80)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

## დასავლეთი
VI ტური

**სამგურალი 1**
**გურია 3**

წყალტუბო, 26 მაისის სტადიონი
31 აგვისტო

სამგურალი: კიკალეიშვილი, მუშკუდიანი (ჭ. იობიძე, 70), გუბელაძე, გ. ჯანელიძე, მაღლაკელიძე, ლ. ფესტვენიძე, ცნობილაძე, ქობულაძე (ჯანაშია, 30), ხურცილავა, ვ. ჯანელიძე, ხარაბაძე.
გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, დოლბაია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი (მეჩხერია, 80), კორღალიძე, გოგოლაძე, გამცემლიძე (პერტია, 75).

0:1 კორღალიძე (5)
0:2 გამცემლიძე (25)
0:3 გოგოლაძე (71)
1:3 ხურცილავა (76)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### გამოტოვებული მატჩი
შუქურა — ბათუმი 2:1

### გუშინ გაიმართა VII ტური:

აღმოსავლეთი: მეტალურგი — ერქვანი 1:2, კახეთი — შევარდენი 1906 4:1, დილა — დინამო 1:4, იმერია — საპოვნელა 1:0, მრეტები — მაღაროელი 1:4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 23-3 | 15 |
| მაღაროელი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-9 | 13 |
| მარგვეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-10 | 10 |
| კახეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| შევარდენი 1906 | 6 | 3 | 0 | 3 | 14-13 | 9 |
| იმერია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| ერქვანი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-13 | 8 |
| საპოვნელა | 7 | 2 | 1 | 4 | 8-9 | 7 |
| დილა | 6 | 2 | 0 | 4 | 6-12 | 6 |
| მრეტები | 4 | 1 | 0 | 3 | 2-13 | 3 |
| მეტალურგი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-18 | 3 |

დასავლეთი: ოდიში — სამგურალი, ცხუმი — შუქურა გადაიდო. სამი თამაშის შედეგი ვერ შევიტყვეთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 6 | 5 | 0 | 1 | 16-5 | 15 |
| გურია | 4 | 4 | 0 | 0 | 19-3 | 12 |
| სამტრედია | 5 | 3 | 1 | 1 | 13-7 | 9 |
| კოლხეთი 1913 | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| ტორპედო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| შუქურა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| მზიური | 5 | 1 | 1 | 3 | 4-14 | 4 |
| სამგურალი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 |
| ამირანი | 5 | 0 | 3 | 2 | 12-18 | 3 |
| ცხუმი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-15 | 3 |
| ოდიში | 4 | 0 | 2 | 2 | 8-12 | 2 |

## სტატისტიკა. VI ტური

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 4 | 3 | 7 | 50 |
| გოლი | 19 | 9 | 28 | 181 |
| საშუალო შედეგიანობა | 4,75 | 3,00 | 4,00 | 3,62 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 8-2 | 1-7 | 9-9 | 103-37 |
| პროცენტულად | 80-20 | 13-87 | 50-50 | 74-26 |
| ბურთები | 14-5 | 3-6 | 17-11 | 123-58 |
| პროცენტულად | 74-26 | 33-67 | 61-39 | 68-32 |
| გაძევება | 0-1 | — | 0-1 | 1-5 |
| გაფრთხილება | 2-4 | 1-1 | 3-5 | 29-34 |
| პენალტი | 2-2 | — | 2-2 | 12-10 |
| გამოყენებულია | 2-1 | — | 2-1 | 12-6 |
| დიდი ანგარიში | 2 | — | 2 | 15 |
| „ჰეთ-ტრიქი" | — | — | — | 4 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 99 | 76 | 175 | 332 |
| დებიუტანტები | 1 | 1 | 2 | 68 |

მეექვსე ტურის შემდეგ: აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეჯგუფებში ჩატარდა 25-25 მატჩი. „აღმოსავლეთელებმა" გაიტანეს 82 ბურთი (საშუალოდ 3,28 გოლი ერთ მატჩში), „დასავლეთელებმა" — 99 (საშუალოდ 3,96). აღმოსავლეთში მასპინძლებმა მოიგეს 18, ფრედ დაამთავრეს 4 და წააგეს 3 მატჩი. ბურთების სხვაობა 64-18. სტუმრები გაცილებით უფრო ძლიერად თამაშობენ დასავლეთში. აქ მასპინძლებს მოგებული აქვთ 13 მატჩი, ფრედ დაამთავრეს 6 და წააგეს 6. ბურთების სხვაობა 59-40. დიდი ანგარიშით დამთავრებული 15 შეხვედრიდან 9 მოდის აღმოსავლეთზე, 6 — დასავლეთზე. 6 გაძევებული ფეხბურთელიდან 2 აღმოსავლეთიდანაა, 4 — დასავლეთიდან. 63 გაფრთხილებიდან 32 მოდის აღმოსავლეთის ქვეჯგუფზე, 31 დასავლეთისაზე.

რევაზ შენგელია

საფეხბურთო სკოლა
**ნორჩი დინამოელი**
აცხადებს 1984-85-86-87 წლებში დაბადებული ბავშვების მიღებას. მიღება მოხდება ყოველდღე სკოლის ბაზაზე (მუშტაიდის ბაღში) 9-დან 17 საათამდე.

# სამხრეთ ამერიკა

გამოვლინდა ფინალური ტურნირის მეექვსე მონაწილე — კოლუმბია

**A ჯგუფი**
**არგენტინა — კოლუმბია 0:5**
**პერუ — პარაგვაი 2:2**

საბოლოო ცხრილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 6 | 4 | 2 | 0 | 13-2 | 10 |
| არგენტინა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| პარაგვაი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-7 | 6 |
| პერუ | 6 | 0 | 1 | 5 | 4-12 | 1 |

**B ჯგუფი**
**ბრაზილია — ვენესუელა 4:0**
**ეკვადორი — ურუგვაი 0:1**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 7 | 4 | 2 | 1 | 18-4 | 10 |
| ბოლივია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-8 | 10 |
| ურუგვაი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-4 | 8 |
| ეკვადორი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-4 | 4 |
| ვენესუელა | 7 | 0 | 0 | 7 | 2-33 | 0 |

ბუენოს აირესში 70 ათას გულშემატკივარს თავზარი დაეცა. არგენტინის ნაკრებმა შინ წააგო კოლუმბიასთან, რითაც მეტოქეს აშშ-სკენ გზა დაულოცა, თავად კი ავსტრალიის ნაკრებთან „საჭიდაოდ" გაიხადა საქმე. სხვათაშორის 1988 წელს ეს გუნდები შეხვდნენ ერთ-ერთ ტურნირში ერთმანეთს და მაშინ მწვანე კონტინენტის შვილებმა 4:1 მოიგეს. იმ დღეს კი „რივერ პლეიტზე" კოლუმბიელმა ფრედო რინკონმა 41-ე წუთზე პირველი გოლი გაიტანა სერხიო გოიკოეჩეას კარში. ბრწყინვალე საგოლე პასი მას კაპიტანმა კარლოს ვალდერამამ ჩააწოდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ ფაუსტინო ასპრილიამ მეორეჯერ შეახსენა არგენტინელებს, რომ საქმე ცუდად ჰქონდათ. გამწარებული მასპინძლები შეტევაზე გადავიდნენ და 20 წუთის განმავლობაში სტუმართა მეკარეს მრავალი ხიფათიც შეუქმნეს, მაგრამ 73-ე წუთზე იმავე რინკონმა ანგარიში 3:0-მდე გაზარდა. ორი წუთის შემდეგ ასპრილიამ მონაგარს, მარჯვენა ცხრიანში ზუსტი დარტყმით, მეოთხე გოლი დაამატა, ხოლო საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე როდოლფო ვალენსიამ, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში" გამოდის, მეხუთე გოლით არგენტინელთა „მოსპობა" დაამთავრა.

„ა" ჯგუფის მეორე შეხვედრაში, ლიმაში პერუმ და პარაგვაიმ ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს. პარაგვაის მეორე ადგილზე გასასვლელად გამარჯვება სჭირდებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, პერუელებს მეტისმეტად სურდათ პირველი და უკანასკნელი ქულის მოპოვება.

„ბ" ჯგუფში ბრაზილიამ ბელუ-ორიზონტიში, სტადიონ „მინეირუზე" ვენესუელას უმასპინძლა და ოთხი უპასუხო გოლი შეუგდო. ორი გოლი მცველმა რიკარდო გომეშმა (28 და 90 წთ) გაიტანა, თითო პალინიამ (30) და ევაირმა (33). ახლა ბრაზილიას 19-ში „მარაკანაზე" ურუგვაისთან ფრეც აკმაყოფილებს. ამავე ჯგუფში, ურუგვაი გუიაკილში ესტუმრა ეკვადორს, სადაც რუბენ სოსას მიერ მე-9 წუთზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა სტუმრებს ორი ქულა შესძინა.

# ევროპა

ტალინში 3,5 ათასი მაყურებლის წინაშე გაიმართა პირველი შესარჩევი ჯგუფის მატჩი. ესტონეთი დამარცხდა პორტუგალიასთან 0:2. გოლები გაიტანეს კოშტამ (61) და ფოლამ (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 5 | 2 | 0 | 18-4 | 12 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 14-4 | 10 |
| იტალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15-6 | 10 |
| შოტლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 8 |
| მალტა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-21 | 3 |
| ესტონეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 1-17 | 1 |

# კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ტოკიოში გაირკვა 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა. აფრიკულ ფინალში ერთმანეთის პირისპირ ნიგერია და განა წარსდგნენ. ამ შეხვედრას ემუქრებოდა იაპონიაში გამძვინვარებული ტაიფუნი, მაგრამ, როგორც ჩანს ფეხბურთის წინაშე სტიქიაც ქედს იხრის. მატჩი შედგა და დამთავრდა ნიგერიელთა გამარჯვებით 2:1. ანგარიში მე-3 წუთზე ორემამ გახსნა. განელმა ფანეიმ პირველ ტაიმშივე გაქვითა, მაგრამ 74-ე წუთზე ანასაკიმ დამცველს მოსტაცა ბურთი და გამარჯვების გოლი შეაგდო. საპასუხოდ განელებმა ერთხელ მოარტყეს ძელს ბურთი.

მესამე ადგილი მოიპოვა ჩილეს გუნდმა, რომელმაც ფრედ 1:1 ითამაშა პოლონეთთან, შემდეგ კი პენალტებში 4:2 გაიმარჯვა.

## გერმანია

V ტური. ლაიპციგი — ვატენშაიდი 0:0, ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 3:3, შალკე — აინტრახტი 1:3, ლევერკუზენი — კიოლნი 2:1, დუისბურგი — ბაიერნი 2:2, შტუტგარტი — დორტმუნდი 2:2, კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი 1:0, ნიურნბერგი — ვერდერი 0:1, დინამო — ჰამბურგი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 5 | 4 | 1 | 0 | 15-4 | 9 |
| ვერდერი (1) | 5 | 4 | 1 | 0 | 14-6 | 9 |
| ლევერკუზენი (5) | 5 | 4 | 1 | 0 | 10-6 | 9 |
| ჰამბურგი (11) | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 7 |
| კარლსრუე (6) | 5 | 3 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| ბაიერნი (2) | 5 | 2 | 2 | 1 | 13-7 | 6 |
| დუისბურგი (დ) | 5 | 1 | 4 | 0 | 8-7 | 6 |
| დორტმუნდი (4) | 5 | 2 | 1 | 2 | 8-8 | 5 |
| კაიზერსლაუტ. (8) | 5 | 2 | 0 | 3 | [illegible] | 4 |
| კიოლნი (12) | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 4 |
| ვატენშაიდი (14) | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 4 |
| ფრაიბურგი (დ) | 5 | 1 | 1 | 3 | 10-11 | 3 |
| მიონხენგლ. (9) | 5 | 1 | 1 | 3 | 7-12 | 3 |
| ლაიპციგი (დ) | 4 | 0 | 3 | 1 | 5-7 | 3 |
| შტუტგარტი (7) | 4 | 0 | 3 | 1 | 7-11 | 3 |
| დინამო (15) | 5 | 0 | 3 | 2 | 5-11 | 3 |
| შალკე (10) | 5 | 1 | 0 | 4 | 4-12 | 2 |
| ნიურნბერგი (13) | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 2 |

## იტალია

II ტური.
კალიარი — უდინეზე 1:2, კრემონეზე — ნაპოლი 2:0, ფოჯა — ინტერი 1:1 მილანი — ჯენოა 1:0, პარმა — ლეჩე 1:0, რომა — იუვენტუსი 2:1, სამპდორია — პიაჩენცა 2:1, ტორინო — ატალანტა 2:1, რეჯანა — ლაციო 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორინო (9) | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 4 |
| სამპდორია (7) | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 4 |
| მილანი (1) | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 4 |
| პარმა (3) | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 4 |
| ინტერი(2) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| ატალანტა (8) | 2 | 1 | 0 | 1 | 6-4 | 2 |
| ჯენოა (13) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 2 |
| კრემონეზე (დ) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 2 |
| იუვენტუსი (4) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| უდინეზე (14) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| რომა (10) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 2 |
| ფოჯა (12) | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| ლაციო (5) | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| რეჯანა (დ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ლეჩე (დ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| ნაპოლი (11) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| კალიარი (6) | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |
| პიაჩენცა (დ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

## შოტლანდია

ლიდერმა „მოზერუელმა" სტუმრად დიდი ანგარიშით წააგო მეცხრე ადგილზე მყოფ „სენტ ჯონსტონთან" 0:3 და „რეინჯერსს" დაწევის საშუალება მისცა, მაგრამ ბოლო ხუთი წლის ჩემპიონმა ვერ გამოიყენა ეს შანსი და „დანდისთან" გასვლაზე მხოლოდ ფრეს მიაღწია, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმში მასპინძლებს ფეხბურთელი გაუგდეს. გარი პეტერსონის მე-15 წუთზე გატანილ ბურთს გლაზგოელმა დანკან ფერგიუსონმა მატჩის მიწურულს უპასუხა — 1:1. ლიდერთან გათანაბრების შანსი ვერც „დანდი იუნაიტედმა" გამოიყენა — როცა ყველას ეგონა, რომ ის „რეით როვერსთან" მატჩს მოიგებდა, ჯიმი ნიკოლსმა 20 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1. „სელტიკი" — „აბერდინის" პრინციპულ და მეტად დაძაბულ მატჩში სტუმრებმა იმარჯვეს 0:1. ტურის დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: „ჰართსი" — „პარტიკი" 2:1, „კილმარნოკი" — „ჰიბერნიანი" 1:1.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოზერუელი (9) | 5 | 3 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| ჰართსი (5) | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| აბერდინი (2) | 5 | 2 | 3 | 0 | 4-2 | 7 |
| რეინჯერსი (1) | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 6 |
| დანდი იუნ. (4) | 5 | 1 | 4 | 0 | 5-4 | 6 |
| ს. ჯონსტონი (6) | 5 | 1 | 3 | 1 | 6-4 | 5 |
| ჰიბერნიანი (7) | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 5 |
| კილმარნოკი (დ) | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 5 |
| სელტიკი (3) | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 5 |
| რ. როვერს(დ) | 5 | 0 | 3 | 2 | 5-0 | 3 |
| პარტიკი (8) | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |
| დანდი (10) | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |

# თასების თასი

წინასწარი წრის განმეორებითი მატჩები. „დეგერფორსი" (შვედეთი) — „სლიმა უონდერერსი" (მალტა) 3:0. პირველი თამაშიც შვედებს ჰქონდათ მოგებული 3:1 და შემდეგ წრეშიც ისინი გავიდნენ.

რიგის „რაფი" ნისლის გამო ვერ ჩავიდა ფარერის კუნძულებზე „ჰაფნართან" სათამაშოდ. უეფამ „რაფს" 0:3 დამარცხება ჩაუთვალა. პირველ შეხვედრაში რიგელებმა მოიგეს 1:0. ამგვარად, მეთექვსმეტედფინალში გავიდა „ჰაფნარი".

## ესპანეთი

I ტური. ტენერიფე — ლერიდა 1:0, სანტანდერი — რაიო ვალეკანო 1:0, ატლეტიკო — ლოგრონიესი 1:0, ოვიედო — ვალენსია 0:3, ლა კორუნია — სელტა 0:0, ვალიადოლიდი — სპორტინგი 0:1, ოსასუნა — რეალი 1:4, სარაგოსა — სევილია 1:2, ბარსელონა — რეალ სოსიედადი 3:0, ატლეტიკი — ალბასეტე 4:1.

## ფეხბურთის



## რუკასთან

ბრიტანული ავიაკომპანიის „ბრიტიშ ეირვეიზის" ერთ-ერთ „ბოინგ"-767-ს ბობი მურის სახელი უწოდეს. მური წლეულს თებერვალში ღვიძლის კიბოსგან გარდაიცვალა. მისი ცოლი, წარსულში სტიუარდესა, დაესწრო სახელის დარქმევის ცერემონიალს და გზა დაულოცა „ბობი მურს".

„ლიბერასიონისთვის" მიცემულ ინტერვიუში მარსელის „ოლიმპიკის" პრეზიდენტმა ბერნარ ტაპიმ განაცხადა, რომ თუ უეფა მის კლუბს ჩემპიონთა თასზე გამოსვლას აუკრძალავს, იგი გადადგება.

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს 100 უძლიერესი კლუბის სია. ქულათა შესაძლო მაქსიმუმია 400. პირველ ადგილზე 400 ქულით არის „მილანი". 2. „იუვენტუსი" — 382,5; 3. „გლაზგო რეინჯერსი" — 349,5; 4. „რეალი" — 323,5; 5. „ოლიმპიკი" — 310,5; 6. „აიაქსი" — 307; 7. „პარმა" — 290; 8. „ბენფიკა" — 288,5; 9. „რომა" — 267,5; 10. „ოლიმპია" (პარაგვაი) — 267.

გაიმართა ჰოლანდიის ჩემპიონატის მე-6 ტურის რამდენიმე მატჩი. „აიაქსი" — „ეინდჰოვენი" 2:0, „ფეიენოორდი" — NAC ბრედა 2:1, „ვილემ II" — „უტრეხტი" 4:1, „ჰეერენვეენი" — „როდა" 0:0, „გოუ ებედი" — „კამბური" 3:0, „მაასტრიხტი" — „ვიტესი" 0:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გურამ მოდებაძე



შაბათს ამერის პირველობა როგორც იქნა, განახლდა. თამაშების მიმოხილვამდე მკითხველის ყურადღებას რამდენიმე საგულისხმო ფაქტს მივაპყრობთ: რაც მთავარია, თითქმის გაირკვა სადავო ვაკის სტადიონის ამბავი — მართალია, იქ ჯერჯერობით მხოლოდ „ვესტას" და „ქორებსა" აქვთ ადგილი დაბევებული, მაგრამ ალბათ ვაკეშივე ითამაშებენ „ამირანი", „თბილისი" და „ყოჩები". შინ, აგრარულ უნივერსიტეტში დაბრუნდებიან „შევარდენი" და „ლავრი", მეორე ჯგუფის სხვა თბილისური გუნდები კი — ვარკეთილში. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი — ბურთების პრობლემაც გადაიჭრა: რაგბის კავშირმა თავისი

# ტურის ტრიუმფატორი!

ყოფილი პრეზიდენტის, ნუგზარ ენდელაძის მოღვაწეობის კიდევ ერთი ნაყოფი მოიმკა — ბატონი ნუგზარი, ჯერ კიდევ თავისი ზეობის ჟამს, ასოციაცია „საქართველოს" პრეზიდენტ გოდერძი ბუკიასთან ერთად ერთ ირლანდიურ ფირმას მორიგებია, რომელმაც კავშირი ახალთახალი ბურთებით დაასაჩუქრა.

შემდეგი ფაქტი უშუალოდ შაბათის მატჩებს ეხება: რაგბში საყოველთაოდაა მიღებული — თანამსაჯებს თამაშში მონაწილე გუნდებივე გამოყოფენ ხოლმე, ჰოდა, „ამირანი" — „ვესტას" მატჩში ეს მისია მწვრთნელებმა — ჩხეიძემ და ბენდიაშვილმა დაიკისრეს! კიდევ სამი მწვრთნელი ტურის მატჩებს კიდის ხაზიდან კი არ უცქერდა, უშუალოდ მონაწილეობდა: გეგენავა დასაწყისიდანვე წინამძღოლობდა „ყოჩებს", მგელაძე და სანებლიძე კი მეორე ტაიმში შეეშველნენ „ქორებსა" და „შევარდენს". რუსთაველი გურამ მოდებაძელა შერჩა ტრიბუნას და გაუმართლა კიდეც — მისმა „აზოტმა" პირველი დამარცხება აგემა „შევარდენს"!

აგრარული უნივერსიტეტი, 4 სექტემბერი

| | |
|---|---|
| **შევარდენი** | **13** |
| **აზოტი** | **30** |

შევარდენი: ნ. იურინი; დვალი, ბითაძე, ძნელაძე, ჩიტაძე; შ. მოდებაძე, ფარცვანია; ჩიქავა, ახვლედიანი, თავზარაშვილი; სორდია, ქურციკიძე, ნადირაძე (პარნიკანაშვილი), ზოიძე (სანებლიძე); ტყეშელაშვილი.
აზოტი: ი. ლეჟავა, ბ. იურინი (მღებრიშვილი), მინდორაშვილი, ჩიქვინიძე, ბერიშვილი; გოგიშვილი (აფციაური), ხუციშვილი; მთიულიშვილი, კაკაბაძე (ჩიტაძე), ყანჩაველი; ნ. მოდებაძე, რაფავა, მაჩიტიძე, ქერდიყაშვილი; ჯიმშელაძე.
გოლები. შევარდენი: ლ — იურინი; გ, 2ს — მოდებაძე; აზოტი: 4ლ — მინდორაშვილი-2, მაჩიტიძე, ჯიმშელაძე; 2გ, 1ს — ლეჟავა; ა — რაფავა.
მსაჯი: თ. ცინცაძე

„შევარდენს" ჯანელიძე და ნ. მგელაძე აკლდა, „აზოტში" კი დებიუტი ჰქონდა „ვესტას" ყოფილ დამრტყმელ ლეჟავას, ვისაც ძველ გუნდში ბოლო დროს უნდობლობას უცხადებდნენ. მასპინძლები ერთხელ, დასაწყისში დაწინაურდნენ — „აზოტის" მწვრთნელის ვაჟმა, შ. მოდებაძემ საჯარიმო შეაგდო. სტუმრებმა ანგარიში ორიგინალურად გაათანაბრეს — არეკნი ქეორეხაზელმა (!) რაფავამ გაიტანა, რაც რაგბში უიშვიათესი მოვლენაა — და თუმცა შესვენებამდე ორი-სამი ქულით იგებდნენ, მერე და მერე მთლად აიწყვიტეს.

ვაკე, 4 სექტემბერი

| | |
|---|---|
| **ამირანი** | **0** |
| **ვესტა** | **3** |

„ამირანი": ჩიხლაძე; ლიპარტელიანი, ჩაჩუა (ბრაგვაძე), ქ. ალანია, ხაჩიძე; ბურჯანაძე, ჯეირანაშვილი (კვარაცხელია); ბერიაშვილი, ნიკურაძე, მაჭუტაძე (მჭედლიძე); ექიზაშვილი, კვანტალიანი, სულხანიშვილი, ნაცვლიშვილი; დიდებულიძე.
„ვესტა": ა. ხვედელიძე; ბუგიანიშვილი, ვაშაძე, მარჯანიშვილი, ქავთარაშვილი; იოვაძე, ნატროშვილი; დაუშვილი, პინაიშვილი, გაგნიძე; ობოლაძე, ხუადე, ცხვარაძე, ნეველიძე; გ. გიუნაშვილი.
გოლი: ს — იოვაძე
მსაჯი: გ. აბაშიძე.

ბენდიაშვილმა სიურპრიზი შესთავაზა ჩხეიძეს: „ვესტას" მეორე ხაზში ვიხილეთ ხუადე, რომლის თამაში, მოუცლელობის გამო მოსალოდნელი არ იყო, და — ეგ კიდევ არაფერი — ცხვარაძე, ვისაც ბარე ხუთი-ექვსი წელია, არ უთამაშია. გოლიათებმა „დერეფანში" უბურთოდ დატოვეს უფრო ტანმორჩილი მეტოქეები და პირველ ტაიმში „ვესტას" უპირატესობაც მათი დამსახურება იყო, თუმცა ჩემპიონმა ამით სარგებელი ვერა ნახა: „ამირანის" სამმეოთხედელებს მესამეხაზელი ექიზაშვილიც დროულად ეხმარებოდა და მარჯანიშვილსა და ხვედელიძეს ნავარდის საშუალება არ ჰქონდათ. ვერც ობოლაძის შეტევებმა მოიტანა შედეგი და იოვაძესაც, ვინც პირველად ითამაშა ღია ნახევარმცველად, შესვენებამდე სამი საჯარიმო გაუცუდდა. „ამირანის" მხრივ, ვერც დიდებულიძემ და ნიკურაძემ მიაღწიეს ვერაფერს. შესვენების შემდეგ იოვაძემ მეხუთე ცდიდან საჯარიმო შეაგდო და თამაში მცირე ხნით გამოცოცხლდა: ჯერ ვაშაძისა და მარჯანიშვილის პასებით უკვე ლელომდე მიღწეული ქავთარაშვილი „ამირანმა" ჯარიმის ფასად შეაჩერა და



ხუადე (ბურთით) და ცხვარაძე (წვერულვაშიანი)

გიუნაშვილმა ორიგინალურად გაათამაშა საჯარიმო: ფეხით საპირისპირო ფრთაზე დაუკიდა ბურთი ხვედელიძეს; ამის პასუხად ჩაჩუამ ბურთიანად ცენტრიდან ლელომდე ირბინა, თუმცა ეს ტრავმად და მოედნის დატოვებად დაუჯდა. მატჩის ბოლოს ბურჯანაძემ საჯარიმოთი ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუშვა.

ვაკე, 4 სექტემბერი

| | |
|---|---|
| **ქორები** | **18** |
| **ყოჩები** | **21** |

გოლები. ქორები: 3ლ — ასათიანი-2, ლომიტაშვილი; ს — მარტყოფლიშვილი. ყოჩები: 2ლ — გიორხელიძე, ფირიაშვილი; გ, 3ს — ბარძიმიშვილი.
მსაჯი: პ. ნარიმანაშვილი.

„ყოჩებს" ურეკში კარგად უვარჯიშიათ და შაბათს პირველადაც გაიმარჯვეს. ქომაგთა მხარდაჭერით გამხნევებულებმა მათ თავიდანვე შეუტიეს და პირველ ოც წუთში „ქორები" ბღლვნად არ ეყოთ — 15:0. მერე უკვე „ქორებმა" იძალეს და შესვენებამდე ჯოხიასა (6) და ასათიანის (11) მეცადინეობით საქმის შემობრუნების იმედიც დაიტოვეს — 13:15. მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბარძიმიშვილმა (15) კიდევ ორი საჯარიმო შეაგდო — 21:13, თუმცა არხეინად ყოფნა „ყოჩებს" მაინც არ ეწერათ — ბოლო ხუთ წუთში „ქორებმა" კიდევ ერთი ლელო გაიტანეს და მათი უკანასკნელი, სალელოე შეტევა „ყოჩების" მესამეხაზელმა, შაბათს კი შუამარბად პირველად მოთამაშე ზ. ლეჟავამ (12) ალკვეთა.

მამუკა ჩიხლაძე

| ამერის I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტა | 7 | 6 | 0 | 1 | 210-85 | 12 |
| შევარდენი | 6 | 5 | 0 | 1 | 148-95 | 10 |
| აზოტი (რუსთ.) | 5 | 5 | 0 | 2 | 137-98 | 10 |
| ამირანი | 9 | 5 | 0 | 4 | 115-87 | 10 |
| თბილისი | 7 | 2 | 0 | 5 | 128-174 | 4 |
| ყოჩები | 6 | 1 | 0 | 5 | 92-172 | 2 |
| ქორები | 6 | 0 | 0 | 6 | 53-172 | 0 |

მომდევნო ტურში, ხვალ თამაშობენ: აზოტი — თბილისი, ვესტა — ქორები, ყოჩები — შევარდენი



# მთელი ოჯახით მეოთხედფინალში

უკვე მეორე კვირაა, აშშ-ის ღია ჩემპიონატის მონაწილეებს ცხელი დღეები უდგათ. „ფლაშინგ მიდოუს" ბეტონის კორტებს ისეთი ალმური ასდის, რომ დღე არ გავა, ვინმე უქეიფოდ არ შეიქნას. პირველივე წრეში ამერიკელ ანდრე აგასისთან მომქანცველ, თითქმის სამსაათნახევრიან მატჩში გამარჯვების შემდეგ, სიქაგაცლილმა შვედმა ტომას ენდკვისტმა ძლივს მიაღწია გასახდელამდე, იქ კი უგონოდ დაეცა. სამწუხაროდ, ეს ერთეული შემთხვევა როდია. სწორედ აუტანელი სიცხის გამო აშშ-ის ჩემპიონატი „დიდი სლემის" ყველაზე მძიმე ტურნირად ითვლება. ბევრს მაინცდამაინც არ სიამოვნებს ჩახუთულ ნიუ-იორკში თამაში. ორგანიზატორები ამას მშვენივრად გრძნობენ და მობურთალთა შესაგულიანებლად ყოველწლიურად ზრდიან ისედაც ყველაზე ძვირფასი ასპარეზობის საპრიზო ფონდს. ბოლოლა მეცენატებმა, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილმა „რიბოკმა", შარშანდელ თანხას კიდევ ნახევარი მილიონი წაუმატეს და ამჯერად 9 მილიონ 22 ათასი დოლარი განაწილდება 256 მონაწილეს შორის.

ზღაპრული ჰონორარების მიუხედავად, არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა სპორტსმენი ტრავმის მომიზეზებით შუა თამაშში უარს აცხადებს სულისშემხუთველ სიცხეში წვალებაზე.

მარათონული ჩემპიონატის ჯერ მხოლოდ ნახევარია გავლილი, მაგრამ უკვე საგრძნობლად გაიცხრილა „განთესილ" ვაჟთა სია. ბოლო დღეებამდე ქალები მინიმალური დანაკარგით აგრძელებდნენ ბრძოლას, თუმცა დაძაბულობას ვერც მათ გაუძლეს.

ლეილა მესხმა ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატისთან გამარჯვებას ეტყობა, მთელი თავისი ფიზიკურ-მორალური ძალები შეალია, რის აღდგენაც ორ დღეში ველარ მოასწრო და მომდევნო მატჩი ბულგარელ კატერინა მალეევასთან პრაქტიკულად უბრძოლველად „დათმო" — 1:6, 2:6. შესანიშნავად ასპარეზობენ კატერინას დებიც — მანუელა და მაგდალენა. სამივე წარმატებით აგრძელებს ბრძოლას და ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სამივე და „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში ითამაშებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მანუელას გამარჯვება მსოფლიოს მეხუთე „ჩოგანთან", ესპანელ კონჩიტა მარტინესთან შეხვედრაში.

რვა უძლიერესს შორისაა იაპონელი კიმიკო დატეც, რომელმაც საკმაოდ ადვილად დაამარცხა წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტი ჩეხი იანა ნოვოტნა — 6:4, 6:4. დატე პირველი იაპონელი ჩოგბურთელია, ვინც „დიდი სლემის" მეოთხედფინალში გავიდა.

ორჯერ ბეწვზე გადაურჩა მარცხს მეხუთე ნომრად „განთესილი" გაბრიელა საბატინი. მეოთხე წრეში 17 წლის ლინდსი დავენპორტთან შეხვედრაშიც მხოლოდ პირველი ხელის წაგების შემდეგ შეძლო თამაში გარდატეხის შეტანა — 6:7, 6:4, 6:4. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა სარეკორდოდ დიდხანს, 2 საათსა და 46 წუთს გაგრძელდა.



მანუელა მალეევა-ფრანიე

ვაჟთა შეჯიბრებაში სანახაობრივად ყველაზე ლამაზი იყო გერმანელი ბორის ბეკერისა და უფელი ანდრეი ჩერკასოვის ორთაბრძოლა. წვიმის გამო ეს ორჯერ გადადებული მატჩი თავიდან ჩერკასოვის უპირატესობით წარიმართა. 22 წლის უფელი, რომელიც ბოლო ორ სეზონს ალმავლობით ატარებს და არაერთ მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია, თავიდანვე მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო. ამ ემოციურ შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა პატარა ინციდენტი მეოთხე სეტის ბოლოს: ერთ-ერთ სადაო ქულას, რომელიც მსაჯებმა ბეკერს ჩაუთვალეს, უფელი ისე გამოეკიდა, თითქოს სწორედ ის იყო გადამწყვეტი. მსაჯთან რამდენიმე წუთიანი, ცხადია, ფუჭი კამათის შემდეგ ჩერკასოვმა ველარაფრით დაიოკა ნერვები და ზედიზედ სამი გეიმი წააგო. ბეკერმა კი, რაკი სულის მოთქმის შანსი მიეცა, მშვენივრად გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი და საბოლოოდ შესძლო გამარჯვების მოპოვება — 3:6, 6:7, 7:5, 6:4, 6:4.



ბორის ბეკერი

უსახელოდ დაასრულა წლევანდელი ტურნირი აშშ-ის ბოლო ორი წლის გამარჯვებულმა, მსოფლიოს მესამე „ჩოგანმა" სტეფან ედბერგმა. ერთი თვის წინ მას ქალიშვილი შეეძინა, ამიტომ ბუნებრივია, ვარჯიშს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა: ამან მაშინვე გამოიღო თავის შედეგი. უკვე მეორე წრეში შვედი ჩოგბურთელი დამარცხდა 28 წლის ჩეხ კარელ ნოვაჩეკთან დაძაბულ შეხვედრაში — 6:7, 4:6, 6:4, 4:6.

გია ახალაძე

ქალები. შტეფი გრაფი (გერმანია) — იუდიტ ვიზნერი (ავსტრია) უარი განაცხადა; არანტა სანჩესი (ესპანეთი) — ლინდა ჰარვი-უაილდი (აშშ) 6:2, 6:2; მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:1, 6:3; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ნიკოლ იაგერმანი (ჰოლანდია) 6:3, 6:1; გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — ჯინჯერ ჰელგსონი (აშშ) 4:6, 6:2, 6:4; იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — ლაურა გოლარსა (იტალია) 6:4, 6:3; ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — კრისტი ბოგერტი (ჰოლანდია) 6:1, 6:4; კიმიკო დატე (იაპონია) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:3, 6:2; მერი პირსი (საფრანგეთი) — ბრენდა შულცი (ჰოლანდია) 7:5, 7:6; ნატალია ზვერევა (ბელარუსი) — ზინა გარისონი (აშშ) 6:4, 6:3; მარტინა ნავრატილოვა — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:4, 4:6, 6:2; შტეფი გრაფი — მერი პირსი 6:1, 6:0; კიმიკო დატე — იანა ნოვოტნა 6:4, 6:4; არანტა სანჩესი — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:0, 6:1; ელენა სუკოვა (ჩეხეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 3:6, 6:2, 6:4; ნატალი ტოზია — კრისტინა ზინგერი (გერმანია) 6:3, 6:2.

კაცები. პიტ სამპრასი (აშშ) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:4, 5:7, 6:2, 7:6; ჯიმ კურიე (აშშ) — ჯოისი (აშშ) 6:2, 6:1, 6:3; მაიკლ ჩანგი (აშშ) — ნიკოლას პერეირა (ვენესუელა) 6:1, 6:3, 4:6, 6:3; არნო ბეში (საფრანგეთი) — კარლ-უვე შტეები (გერმანია) 6:4, 6:4, 1:0 უარი განაცხადა. ალექსანდრე ვოლკოვი (რუსეთი) — კევინ ულიეტი (სარ) 6:7, 7:6, 6:1, 6:3; რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ალბერტ ბერესატეგი (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:4; კარლოს კოსტა (ესპანეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:3, 7:6, 7:6; ბორის ბეკერი (გერმანია) — იაკობ ჰლასეკი (შვეიცარია) 6:2, 6:2, 6:4; მატს ვილანდერი (შვედეთი) — მაგნუს პერნფორსი (შვედეთი) 7:6, 3:6, 1:6, 7:6, 6:4; ტომას მუსტერი (ავსტრია) — პატრიკ მაკინროი (აშშ) 6:4, 6:4, 6:4; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — რიჩი რენებერგი (აშშ) 4:6, 7:6, 6:4, 6:3; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — იარიდ პალმერი (აშშ) 6:4, 3:6, 5:7, 7:5, 6:1; მალივაი ვაშინგტონი (აშშ) — დუგ ფლეში (აშშ) 7:5, 6:3, 6:2; უელი მაზური (ავსტრალია) — პატრიკ კიუნენი (გერმანია) 6:4, 6:4, 5:7, 7:6; ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) — ლუის მატარი (ბრაზილია) 7:5, 6:1, 6:7, 4:6, 6:3; პიტ სამპრასი — არნო ბეში 6:4, 6:3, 6:1; ბორის ბეკერი — სერჯიო კორტესი (ჩილი) 6:4, 6:4, 6:3; ანდრეი მედვედევი — კარსტენ ბრააში (გერმანია) 6:1, 6:4, 7:6; რიხარდ კრაიჩეკი — ტოდ მარტინი (აშშ) 6:7, 4:6, 7:6, 6:4, 6:4; სედრიკ პიოლინი — მატს ვილანდერი 6:4, 6:4, 6:4; ჯიმი მორგანი (ავსტრალია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:2, 7:5, 7:6; უელი მაზური — ხავიერ სანჩესი 6:1, 7:5, 7:6; უეინ ფერეირა (სარ) — მარკ გელნერი (გერმანია) 6:4, 6:7, 3:6, 6:4, 6:3; მაიკლ ჩანგი — ბერნ კარბახერი (გერმანია) 4:6, 6:4, 6:3, 6:3;

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ფირმა „ტოტოლოტოსა“ და „სარბიელს“ შორის შეთანხმების თანახმად, ამიერიდან საფეხბურთო პროგნოზის ტირაჟები ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება

ტირაჟი № 26 15 სექტემბერი

| | | | პროგნოზი |
|---|---|---|---|
| | ჩემპიონთა თასი. მეთექვსმეტედფინალი | | |
| 1 | „დინამო“ თბილისი — „კოპენჰაგენი“ დანია | 7 2 1 | 1 |
| 2 | „დინამო“ კიევი — „ბარსელონა“ ესპანეთი | 3 3 4 | 1 X 2 |
| 3 | „არაუ“ შვეიცარია — „მილანი“ იტალია | 2 4 4 | X 2 |
| | უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი | | |
| 4 | „დინამო“ მოსკოვი — „აინტრახტი“ ფრანკფურტი | 3 4 4 | 1 X 2 |
| 5 | „ტვენტე“ ენსხედე — „ბაიერნი“ მიუნხენი | 4 3 3 | 1 X 2 |
| 6 | „ნანტი“ საფრანგეთი — „ვალენსია“ ესპანეთი | 5 3 2 | 1 |
| 7 | „კარლსრუე“ გერმანია — „ეინდჰოვენი“ ჰოლანდია | 5 2 3 | 1 |
| 8 | „დანდი იუნაიტედი“ შოტლანდია — „ბრონდბიუ“ დანია | 3 5 2 | X |
| 9 | „ტენერიფე“ ესპანეთი — „მონაკო“ | 4 4 2 | 1 X |
| 10 | „რაპიდი“ რუმინეთი — „ინტერი“ მილანი | 2 4 4 | X 2 |
| 11 | „ჰართსი“ შოტლანდია — „ატლეტიკო“ მადრიდი | 4 3 3 | 1 X 2 |

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი. 17 საათამდე. ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ქუთაისში — ალმაშენებლის ქ. № 1. სპორტლოტოს სამმართველოში ყოველი კვირის ხუთშაბათი. 12 საათამდე.


სარბიელი

# ტოტალიზატორი
## "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღეს.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე. სასტუმრო „აჭარაში“ ფსონების მიღება დროებით შეჩერებულია.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | შოტლანდია — შვეიცარია | | 2,3 | 1,9 | 2,5 |
| | * ინგლისი — პოლონეთი | | 1,2 | 2,5 | 7,5 |
| | * ინგლისი — პოლონეთი | 0:1 | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | უელსი — ჩეხეთსლოვაკეთი | | 2,1 | 2,0 | 2,6 |
| | უნგრეთი — რუსეთი | | 2,4 | 2,1 | 2,2 |
| | ბულგარეთი — შვედეთი | | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | ფინეთი — საფრანგეთი | 1:0 | 3,0 | 1,7 | 2,2 |
| 11 სექტემბერი | ლივერპული — ბლექბერნი | | 1,4 | 2,2 | 5,0 |
| | ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი | | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| 12 სექტემბერი | ვალენსია — ატლეტიკო | | 1,8 | 2,1 | 3,0 |
| | სპორტინგი — დეპორტივო | | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| | კალიარი — ინტერი | | 2,6 | 1,9 | 2,2 |
| | კრემონეზე — ლაციო | | 2,6 | 1,9 | 2,2 |
| | ფოჯა — იუვენტუსი | | 2,6 | 1,9 | 2,2 |
| | მილანი — ატალანტა | 0:1 | 1,9 | 2,0 | 3,0 |
| | პარმა — ჯენოა | | 1,4 | 2,2 | 5,0 |
| | რომა — ნაპოლი | | 1,4 | 2,2 | 5,0 |
| | ურუგვაი — ბოლივია | | 1,4 | 2,2 | 5,0 |

შენიშვნა: სათასო მატჩებში ჩაითვლება მატჩის ძირითადი დროის შედეგი. ევროტურნირების თამაშებზე (თბილისის დინამოს თამაშების გარდა) ფსონების მიღება შეწყდება სამშაბათს 16 საათზე. * ინგლისი — პოლონეთის მატჩზე მიიღება ორი სახის ფსონი: ჩვეულებრივი და ჰანდიკაპით

წინა ტურის შედეგები:

4 სექტემბერი: ლევერკუზენი — კიოლნი 2:1 (X), ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 3:3, შალკე 04 — აინტრახტი 1:3, დუისბურგი — ბაიერნი 2:2, შტუტგარტი — დორტმუნდი 2:2. 5 სექტემბერი: დრეზდენი — ჰამბურგი 1:1, ოსასუნა — რეალ მადრიდი 1:4, ბარსელონა — სოსიედადი 3:0, სარაგოსა — სევილია 1:2, პერუ — პარაგვაი 2:2, არგენტინა — კოლუმბია 0:5.


## შედეგთა დაფა

### ფეხბურთი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების (20 წლამდე) ტურნე ესპანეთში

საქართველოს ნაკრები: მეკარეები: დავით ჯანელიძე („მრეტები“), თემურ ჩლაიძე („ანცი“). მინდვრის მოთამაშეები: დავით კარიაული, დავით ჭიჭიკეიშვილი („ერქვანი“ თბილისი), ლევან ხომერიკი, ამირან მუჯირი („ბათუმი“), ალექსანდრე ბურნაძე („მეტალურგი“), ალექსანდრე რეხვიაშვილი, პაატა გამცემლიძე („გურია“), გურამ ასპინძელაშვილი, ვასილ პავლიაშვილი, ალექსანდრე მარგიანი („ანცი“), თემურ ჩხენკელი („სამტრედია“), ჯუმბერ ჩუხუა, გელა ქორიძე („მრეტები“), ირაკლი ნადირაძე („თეთრი არწივი“).

20 აგვისტო
ესპანეთი — საქართველო 3:1

საქართველო: ჯანელიძე, რეხვიაშვილი (კარიაული, 75), ბურნაძე, პავლიაშვილი, ჩხენკელი, ჭიჭიკეიშვილი (ნადირაძე, 59), ასპინძელაშვილი (ქორიძე, 52), მუჯირი, გამცემლიძე (მარგიანი, 55), ჩუხუა, ხომერიკი.
გოლები: ჩუხუა (11), როდრიგესი (22), ტორალი (28), გაუჩია (69)
გაფრთხილება: აპარიჩიო; რეხვიაშვილი.

21 აგვისტო
საქართველო — ჩილე 0:1

საქართველო: ჯანელიძე, ქორიძე, ბურნაძე, ჩხენკელი, მუჯირი, ჭიჭიკეიშვილი, ასპინძელაშვილი, კარიაული (ნადირაძე, 35), გამცემლიძე, ჩუხუა, ხომერიკი.
გოლი: სალასი (64)
გაფრთხილება: ხომერიკი, კარიაული, ქორიძე; ფლორესი, ფერნანდესი, ვილანი.
გაძევება: ასპინძელაშვილი (60), ქორიძე (78).

22 აგვისტო
საქართველო — უკრაინა 1:7

საქართველო: ჩლაიძე, მუჯირი, ბურნაძე (ნადირაძე, 57), პავლიაშვილი, კარიაული, ჭიჭიკეიშვილი (ხომერიკი, 46), რეხვიაშვილი, ჩხენკელი, გამცემლიძე, ჩუხუა, მარგიანი.
გოლები: ვესტერჩუკი (15), სემჩუკი (35), მოროზი (41, 79), ჩუხუა (43), კოსოვსკი (47, 54), პუშკუცა (68)
გაფრთხილება: რეხვიაშვილი, ნადირაძე.

25 აგვისტო
რუსეთი — საქართველო 0:0 (პ 4:5)

საქართველო: ჯანელიძე, ქორიძე, ბურნაძე, რეხვიაშვილი, მუჯირი, ნადირაძე (პავლიაშვილი, 41), ასპინძელაშვილი, ჩხენკელი (ხომერიკი, 47), გამცემლიძე (კარიაული, 59), ჩუხუა, მარგიანი.
გაფრთხილება: ჩუხუა, ბურნაძე, პავლიაშვილი

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების (18 წლამდე) ტურნე ესპანეთში

საქართველოს ნაკრები: მეკარე დავით გვარამაძე („დინამო“). მინდვრის მოთამაშეები: ლევან ტარყაშვილი, მამია ჯიქია („შევარდენი 1906“), შალვა ხუჯაძე, ირაკლი ხუჯაძე, გიორგი კიკნაძე, გოჩა ტრაპაიძე, ლევან ცქიტიშვილი („დინამო“), დავით ქართველიშვილი, ზაზა ზამთარაძე („მეტალურგი“), გიორგი ირემაშვილი, ვახტანგ იაგორაშვილი („მრეტები“), გიორგი დემეტრაძე („კახეთი“).

23 აგვისტო
ბადახოსი — საქართველო 0:5

გოლები: კიკნაძე-2, ჯიქია, იაგორაშვილი, ტრაპაიძე.

25 აგვისტო
ვილიანუევა — საქართველო 1:2

საქართველო: გვარამაძე, ტარყაშვილი, შ. ხუჯაძე, ი. ხუჯაძე, კიკნაძე, ჯიქია, დემეტრაძე, ტრაპაიძე, იაგორაშვილი, ირემაშვილი, ცქიტიშვილი
გოლები: კიკნაძე (57), იაგორაშვილი (62).
გაფრთხილება: ჯიქია (52), ხუჯაძე (55), ქართველიშვილი (60), იაგორაშვილი (65), კიკნაძე (75).

26 აგვისტო
პორტუგალეტე — საქართველო 2:0

საქართველო: გვარამაძე, ირემაშვილი, შ. ხუჯაძე, ი. ხუჯაძე, კიკნაძე, ცქიტიშვილი, დემეტრაძე, იაგორაშვილი, ჯიქია, ტრაპაიძე, ტარყაშვილი.
გოლები: მუნიოსი (4 პ, 40 პ).

28 აგვისტო
ხიხონი — საქართველო 1:0

საქართველო: გვარამაძე, ქართველიშვილი (ტარყაშვილი, 35), ირემაშვილი, შ.ხუჯაძე, ი. ხუჯაძე, კიკნაძე, ცქიტიშვილი, დემეტრაძე (ზამთარაძე, 41), იაგორაშვილი, ჯიქია, ტრაპაიძე.
გოლი: ივანი (31)
გაფრთხილება: იაგორაშვილი (15).

## საჯილდაო

ბოლო დროს მოდური გახდა მკითხველისათვის ნაირგვარი ტესტისა თუ გამოცანის შეთავაზება. ჰოდა, ჩვენც ფეხი ავუწყვეთ დროებას და გადავწყვიტეთ, რომ ზედიზედ

? ცხრა კვირის განმავლობაში დაგისვათ
ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის
ცხრა სახეობის შესახებ, ?

ისე, რომ კითხვები სამშაბათობით გაგაცნოთ, პასუხებით კი პარასკეობით გაგახაროთ.

მერე ჯილდო? — ალბათ იკითხავთ. მოგეხსენებათ, ფოსტა და ტელეფონი ვერ მუშაობენ ისე, პასუხები დროულად და სწორად რომ მივიღოთ. ჯილდოდ კი, ჩვენი აზრით, ისიც იკმარებს, სპორტის თქვენეული ცოდნის გასინჯვა რომ შეგეძლებათ.

საკითხავად ისეთი სახეობები შევარჩიეთ, რომლებსაც „სარბიელი“ გამორჩეულად სწყალობს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გაგანია ჯილდაობაში ზოგი სახეობა სხვით შევცვალოთ.

კითხვები წრეობრივად გართულდება. პირველი წრის კითხვები უმარტივესი იყო და თითოს გამოცნობა თითო ქულად შეფასდა, მეორე წრის კითხვების გამოცნობა — ორ-ორ ქულად, მესამისა — სამ-სამად და ა.შ.

ერთი სიტყვით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

### მესამე წრე

(1) რამდენჯერ უასპარეზია ალ. მეტრეველს უიმბლდონის ფინალებში? როდის? რისთვის მიუღწევია?
(2) ვინ და როდის გახდა ვაჟთა საჭადრაკო „ოსკარის“ პირველი მფლობელი? სადაური იყო ლაურეატი?
(3) რისი მსოფლიო რეკორდსმენი იყო დიმიტრი იოსელიანი? რომელ ეპოქაში?
(4) როდის გაიხსნა „რაზდანის“ სტადიონი? ვის ეთამაშა „არარატი“? შეხვედრა როგორ დამთავრდა?
(5) ნჰლ-ის რომელ კლუბებში უთამაშია უეინ გრეცკის? რა ნომრით?
(6) სამოყვარულო კალათბურთში როდიდან შემოიღეს სამქულიანი ტყორცნა? რა მანძილიდან ნასროლი ბურთი ითვლება ამღენად?
(7) ვინაა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი? სადაურია? რა შეჯიბრება წამოიწყო?
(8) პარიზ-დაკარის ავტორალის მარშრუტი ერთი-ორად როდის დააგრძელეს? სადამდე? რისთვის?
(9) ნაკრებთა თამაშებში როიელი ქვეყნის რომელ მორაგბეს გაუტანია ყველაზე მეტი ლელო? რამდენი?


შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება
«ლომბარდი»
თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი
მინაგობანკი
Commercial Bank
MB
MINAGOBANK
სასტუმრო „აჭარა“
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407
„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი“

## ჭადრაკი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

# კასპაროვი და შორტი იწყებენ

სცენაზე ორი უზარმაზარი თოჯინა — მატროშკა შემოიტანეს. მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი ერთ-ერთთან მივიდა, შეატრიალ-შემოატრიალა და დარბაზში მჯდომ მეტოქეს ნაიჯელ შორტს გასძახა, გული მიგრძნობს, ამაში შენ ხარო. გარის სწორად უგრძნო გულმა, თოჯინა გახსნეს და შიგნიდან შორტის კარიკატურული მინიატურა ამოიღეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ „ტაიმსის მსოფლიოს ჩემპიონატის" მატჩის პირველ პარტიაში ფიგურების ფერი კასპაროვს უნდა აერჩია. ჩემპიონმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თეთრი აირჩია.

მაშ ასე, 7 სექტემბერს ლონდონში დაიწყება ფიდე-სგან განდგომილთა მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრა, რომელიც შორტისა და კასპაროვის მეცადინეობით დაფუძნებული ჭადრაკის პროფესიული ასოციაციის ეგიდით ტარდება. „გვირგვინოსანი" 24 პარტიის შედეგად გაირკვევა. კენჭისყრის ზემოთაღნიშნულ ცერემონიალზე, რომელიც 3 სექტემბერს უშუალო ვითარებაში ჩატარებულა, კასპაროვი მეტოქის მეუღლეს, ბერძენ ქალ რეას შესჩიოდა, ადრე კარპოვის წინაალმდეგ ჩემს მიერ ჩატარებული ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთხელ მერგო პირველი პარტიის თეთრებით დაწყების უფლებაო. საერთოდ, იმ დღეს პრეტენდენტები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ და მსუბუქად კილავდნენ, განსხვავებით ამასწინდელი პრეს კონფერენციისგან, როდესაც შორტმა მსოფლიოს ჩემპიონი „წელსქვემო[illegible] დარტყმებში" დაადანაშაულა. მაშინ მეტოქის გამოხდომა კასპაროვმა ასე ახსნა, მას ფსიქოლოგიურად ჩემს წინაალმდეგ განწყობა სჭირდება და ამისთვის ლანძღვა-გინების მეთოდს იყენებსო. თავად გარი დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს, თუმცა იმასაც დასძენს, რომ ორთაბრძოლა რთული იქნება და მან შეიძლება რამდენიმე პარტია წააგოს კიდეც.

ნაიჯელმა მართლა თუ წააგო, მორალურად რა მოგახსენოთ და მატერიალურად მაინც იხეირებს. დამარცხებულს ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი ერგება, მთელი საპრიზო ფონდი კი 1,7 მილიონი გირვანქაა (2,5 მილიონი დოლარი).

გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ განდგომილებს ნელ-ნელა უერთდებიან სხვა მოჭადრაკეები. ახლადშექმნილი ასოციაცია 95-ში მორიგი ჩემპიონის გამოვლენას აპირებს და მისი სიტყვით, შესარჩევ ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი უკვე ორმოცამდე წამყვანმა დიდოსტატმა გამოთქვა.

კასპაროვ-შორტის შეხვედრის ორგანიზატორი და სპონსორი, ცნობილი გაზეთი „ტაიმსი" კი კარსმომდგარ მატჩზე ფიქრობს. „თეთრებით დაწყებას — წერს იგი — საჩოგბურთო მოწოდებას ადარებენ, მაგრამ ჭადრაკში უპირატესობა ნაკლებია. ოცდაოთხი პარტიის განმავლობაში შანსები თანაბრდება, თავიდან კასპაროვი ფსიქოლოგიურად ალბათ წახალისდება, თუმცა ვინ იცის იქნებ შორტს სწორედ კონტრშეტევა აქვს ნავარაუდევი...".

### ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

# ევროპაში სენაკიც იციან!

აგვისტოს ბოლოს ვენაში დამთავრებულ ევროპის საკლუბო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან დაბრუნდა საქართველოს ჩემპიონი სენაკის „ეგრისი".

ჭადრაკის მოყვარულთათვის ცნობილი იყო, რომ ავსტრიაში მოასპარეზე 8 გუნდს ფინალური ტურნირის ერთი მონაწილე უნდა გამოევლინა, მაგრამ, როგორც სენაკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **თენგიზ ბოჭორიშვილმა** გვამცნო, ყველაფერი თავდაყირა დამდგარა. თუმცა, სჯობს, თავიდან დავიწყოთ.

სენაკელთა მწვრთნელმა **თამაზ კიკიანმა** საჩემპიონო შემადგენლობას — **გოჩა ტყებუჩავა, რომან სიჭინავა, დავით ჩაჩიბაია, სანდრო დგებუაძე** — ორი „ლეგიონერი", ქუთაისელი **ხვიჩა სუპატაშვილი** და თბილისელი **კახა შალამბერიძე** დაუმატა და გუნდი ვენამდე ჯერ ჩეხეთში, მლადა-ბორისლავის ტურნირში სათამაშოდ გაემგზავრა — უკეთ მოსამზადებლად და, რაც მთავარია, სარეიტინგო ქულების დასაგროვებლად — სენაკელთაგან ყველანი ოსტატობის კანდიდატები არიან: არა იმიტომ, რომ მეტის ძალა არ შესწევთ, უბრალოდ, საერთაშორისო ტურნირებში არ უასპარეზიათ — აკი ჩეხეთში დავით ჩაჩიბაიამ საერთაშორისო ოსტატის ნორმაც შეასრულა, თითქმის ბოლო ტურამდე ლიდერობდა და ლამის ტურნირის მთავარ პრიზს, ავტომანქანა „შკოდასაც" გამოკრა ხელი.

ვენაში სენაკელებს უცნაური ამბავი დახვდათ: გაუგებარი მიზეზების გამო სათამაშოდ იქ რვიდან ხუთი გუნდი არ ჩავიდა. — მანჩესტერიდან, კიოლნიდან, კაუნასიდან, ხარკოვიდან და ბრატისლავიდან თუ ვერ მოახერხეს ჩამოსვლა, თქვენ სულ აღარ გელოდით, ვიფიქრეთ, ამ ომიანობისას ალბათ რა ეჭადრაკებათო — უთქვამთ ორგანიზატორებს — თავიდან სულაც ბერძნები გვეგონეთო. არადა, რა იცოდნენ, როგორი წვალებით ჰქონდათ იქ ჩასასვლელი თუ სახარჯო დოლარები ჩვენებს ნაშოვნი — აკი სენაკური დელეგაციის ერთ-ერთი ოფიციალური ორი ჯერ კიდევ ჩეხეთიდან მობრუნდა შინ, გუნდისთვის ხარჯი რომ შეემცირებინა.

თავდაპირველად ორი ოთხგუნდიანი ჯგუფის შექმნა იყო ნავარაუდევი, რომელთა მოგებულებსაც ლონდონის საგზური უნდა გაეთამაშათ, მაგრამ ერთ ჯგუფში ათენის „ირაკლისიღა" დარჩა. ბერძნების მეტოქე ბრატისლაველებს ბოლო წუთამდე ელოდნენ — იქიდან ვენამდე სამოციოდე კილომეტრია და ამათ რაღა ღმერთი უნდა გაუწყრეთო — მაგრამ საათების სიმბოლურად ჩართვამღა მოუწიათ — გადამწყვეტ თამაშში მონაწილეობა „ირაკლისს" უბრძოლველად ერგო, მისი მეტოქე კი „ავსტრიის საჭადრაკო კლუბისა" და „ეგრისის" მატჩს უნდა გაერკვია.

სენაკელებმა თავიდანვე იცოდნენ, ავსტრიელთა პირველ დაფაზე ანატოლი კარპოვს რომ უნდა ეთამაშა, თუმცა არკი სჯეროდთ, ტიმანთან მატჩის წინ თუ მოიცლიდა. კარპოვი, ვისთვისაც ავსტრიელებს 100 000 შილინგი გადაუხდიათ, ბოლო მომენტში გამოჩნდა. სუპატაშვილი კარგა ხანს უმკლავდებოდა მას, მაგრამ 47-ე სვლაზე პაიკი დაკარგა და დანებება მოუხდა. II დაფაზე დგებუაძე ერთ სვლაში უგებდა სლოვაკ დიდოსტატ მოკრის, მაგრამ მოგების გრძელი გზა აირჩია და დროს გადააცილა, რამაც ასკილოგრამიანი მოკრი სიხარულით ბავშვივით ააცუნდრუკა. ტყებუჩავამ შავებით საერთაშორისო ოსტატ პანჩეკს მოუგო, შალამბერიძეს საერთაშორისო ოსტატ შლოსერთან ზედმეტი პაიკი და ხარისხი ჰქონდა, მაგრამ ყაიმს დასჯერდა. სუპატაშვილის წაგებამ სიჭინავასაც გაუტეხა გული და იგი დიდოსტატ სტანიჩს დანებდა, ჩაჩიბაია — დიდოსტატ დუბშტეინს. საბოლოოდ — 1,5:4,5. ავსტრიელებმა მერე ბერძნებსაც მოუგეს — 4:2 და ფინალში გავიდნენ, რომელიც, როგორც გაირკვა, ლონდონიდან ჰოლანდიაში გადაუტანიათ, ჩვენებს კი ათენელებთან სანუგეშო მატჩზე ორგანიზატორებმა უარი უთხრეს.

თამაზ კიკიანმა და თენგიზ ბოჭორიშვილმა გვითხრეს, ვენაში მოსაგებად ვიყავით ჩასული და ყველა მეტოქე რომ ჩამოსულიყო, ვინძლო დანაკარგი აგვენაზღაურებინა და ავსტრიელთათვის გადაგვესწროო. საერთოდ, ღირდა კი ერთი მატჩისთვის ცხრა მას იქით წასვლა და სიმწრით ნაშოვნი ფულის ტყუილუბრალოდ დახარჯვაო — დასძინეს გულგატეხილებმა.

ჩვენი აზრით, ღირდა! თუნდაც იმიტომ, რომ აწი ევროპის საჭადრაკო სამყაროში თბილისის გარდა კიდევ ერთი ქართული ქალაქი ქცოდინებათ!

**ბონდო ქოგალავა**

## მშვილდოსნობა

### მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

ხვალ თურქეთის ქალაქ ანტალიაში დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. საქართველოს ქალთა გუნდი ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: ხათუნა ქვრივიშვილი, ასმათ დიასამიძე და რეგინა მჟავანაძე, ვაჟთა გუნდს ზუსტად ვერ დაგისახელებთ, რადგან ანტალიაში ჩვენები თურქეთის მეორე ქალაქიდან,

# ანტალიაში უძლიერესნი ჩავლენ



ხათუნა ქვრივიშვილი

კასტამონადან ჩავიდნენ, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. მწვრთნელებს ხუთიდან სამი მშვილდოსანი უნდა შეერჩიათ. ნავარაუდევი იყო, რომ ორი დარჩენილი საქართველოში დაბრუნდებოდა, მაგრამ არავინ დაბრუნებულა და ვერც სატელეფონო საუბარი მოხერხდა მშვილდოსნობის ფედერაციასა და გუნდს შორის. ამგვარად დაგისახელებთ ხუთ სპორტსმენს, ესენია: სერგო გათიკაევი, სერგო ბერიძე, თამაზ ბასილაძე, თამაზ ფუტკარაძე, დავით ლეკვეიშვილი. ანტალიაში, რომლის სასროლეთზეც ჩვენებმა წლეულს მაისში უკვე მოსინჯეს ძალები საქართველოს გუნდს უძღვებიან დელეგაციის ხელმძღვანელი თამაზ იმნაიშვილი, კაპიტანი ლაშა მჟავანაძე და მწვრთნელი ალექსანდრე მეჟევაძე. კასტამონაში შეჯიბრების დამთავრებიდან ანტალიაში ჩასვლამდე ჩვენს გუნდს იქვე, ერთკვირიანი შეკრება თავისი ხარჯით მოუწყო კასტამონის მშვილდოსნობის კლუბმა, რომელშიც მწვრთნელად ვლადიმერ ლეკვეიშვილი მუშაობს, ხოლო მისი და სამწუხაროდ, თურქეთის ნაკრების სახელით, ნატო ნასარიძე გამოდის. როგორც სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ბოსტოღანაშვილმა გვითხრა, ყველაზე მეტად ევროპის ჩემპიონის ხათუნა ქვრივიშვილის იმედი უნდა გვქონდეს (ხათუნამ კასტამონაშიც გაიმარჯვა). ბრძოლა მეტისმეტად რთული იქნება: ჩემპიონატში სამხრეთ კორეის, ჩინეთის და აშშ-ის ძლიერი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

**პაპუნა კედია**

# ბრინჯაო ტორონტოდან

საქართველო ხუთი ფალავნით იყო წარდგენილი. ევროპის ჩემპიონმა ზაზა ზოზიროვმა პირველი შეხვედრა 1,5 წუთში მოიგო, მეორეში კი მსაჯებმა გამარჯვება უნგრელ ელეკეშს მიაკუთვნეს. ქართველთა პროტესტი სააპელაციო კომისიამ არ დააკმაყოფილა. ათეულის მიღმა დარჩა დავით ბელთაძეც. მძიმე წონაში ზაზა თურმანიძემ ნახევარფინალი მსოფლიოს ჩემპიონ ბაუმგრატნერთან წააგო, მესამე ადგილისთვის კი ხელნატკენმა იჭიდავა ანდრეი შუმილინთან და დამარცხდა. ელდარ კურტანიძემ ტურნირზე ერთადერთი შეხვედრა წააგო ვიცე-ჩემპიონ დუგლას მელვინთან. მეექვსე ადგილზე გასული დავით ხურცია კი ჩემპიონთან, თურქ ოზთურქთან დამარცხდა.

## ძალოსნობა

# ძალოსნობის დარბაზში



ქართველ ძალოსნებს გამალებული მზადების დრო უდგათ. 15 სექტემბერს იუნიორები ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში ჩაებმებიან ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. მოგვიანებით ოლიმპიური ოქროს მფლობელი კახი კახიაშვილი უელსს გაემგზავრება, სადაც კარდიფში „ვერცხლის დრაკონის" საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მართალია ბრიტანეთის ძალოსნობის ფედერაციამ ქართველ კოლეგებს ოთხი ადგილი გამოუყო ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ თავისთავად ცხადია, ამდენი სპორტსმენის გასამგზავრებელი ფული ვერ გამოინახა. 8-9 ოქტომბერს ჩვენს ათლეტებს თურქები იწვევენ „ოქროს ფორთოხ-ლის" საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ანტალიაში ტარდება. იქ შარშან ქართველებმა, რომლებით 9 სპორსტმენით იყვნენ ჩასული, მეორე ადგილი დაიკავეს. წლეულს, მასპინძლებმა, რომელთაც როგორც სჩანს, შარშანდელი შეჯიბრების მოწყობაზე დიდძალი თანხა დაეხარჯათ, სტუმრების რაოდენობა შეკვეცეს და ახლა ჩვენს გუნდს 5 ადგილი გამოუყვეს. ხელმოკლე ქართველებმა ორგანიზატორებს შეუთვალეს, თუ შარშანდელივით სარფიდან ანტალიამდე მგზავრობის ხარჯებს თქვენ გაიღებთ, მაშინ შევძლებთ ჩამოსვლასო. და ბოლოს, 12-21 ნოემბერს ავსტრალიაში, მელბურნში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ალბათ რამდენიმე ქართველი ათლეტი მიიღებს მონაწილეობას. ცხადია — კახიაშვილიც.

ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, რამაზ გურგენიძემ გვითხრა, რომ ჩვენი იუნიორების გუნდს ათეულში მოსახვედრი ძალა. ზოგადად, ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. შინაური შეჯიბრებები ძირითადად თელავსა და თბილისში ტარდება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ აჭარაში ძალოსნობისთვის საჭირო ინვენტარი და ფიცარნაგი საერთოდ არ არის. ცხინვალი, რომელიც რესპუბლიკის ძირითადი საყრდენი გახლდათ, პოლიტიკური არეულობის გამო მოვლენებს მიღმა დარჩა. საჩხერე, სადაც ძალოსნობა ასევე განვითარებული იყო მიწისძვრამ დასცა. ქუთაისში ტურნირის ჩატარება გამორიცხულია, სასტუმროები ლტოლვილებით არის სავსე. რჩება ზემოთდასახელებული ორი ქალაქი, თუმცა საერთო ფონზე სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში მწვრთნელ ავთანდილ გახოკიძეს გამოუყვეს შენობა და დღეს მასთან სამ[illegible]ცი ბავშვი ვარჯიშობს. რაც შეეხება ინვენტარს, თბილისში ჯერ შემორჩენილია ის იარაღები, 1990 წელს საკავშირო სპორტკომიტეტმა რომ გამოუყო საქართველოს საერთაშორისო ტურნირის ჩასატარებლად. ინვენტარი ნელ-ნელა იცვითება, ძველდება და ახლო მომავალში ახლის შეძენის აუცილებლობა დადგება. ბუნებრივია, აქ საქართველოს კვალობაზეა საუბარი, თორემ ნორმალურ ქვეყანაში ამ იარაღებს ალბათ უკვე ჯართში ჩაბარებდნენ. ნორმალურ ქვეყანაში დარბაზებიც უფრო ნორმალური იქნებოდა. გაქუცული და წვიმაჩამონადენი თბილისური დარბაზის აქ აღწერას აზრი არა აქვს, უბრალოდ იმას ვიტყვით, რომ ზამთარში, როგორც გვითხრეს, არ შეისვლება: ტემპერატურა ზუსტად იგივეა, რაც გარეთ. ასეთ პირობებში ვარჯიშობენ: კობა ტალახაძე (მძიმე წონა, საჩხერე), იგორ კობზევი (108 კგ. თბილისი), კახი კახიაშვილი (91, ცხინვალი), მუხრან გოგია (91, ზუგდიდი), ბიძინა მიქიაშვილი (83, ამბროლაური), გიორგი ასანიძე (76, საჩხერე), დავით აბრამიშვილი (67, თბილისი), კობა ალავიძე (60, საჩხერე), არმენ თათევოსიანი (54, თბილისი). ეს საქართველოს ნაკრების ბირთვია. როგორც ხედავთ, ბევრი რაიონებიდან არის ჩამოსული და მათი მზადება ცენტრალიზებულად, თბილისში მიმდინარეობს.

სპორტსმენის შენახვა დღეში 20 ათასი კუპონი ჯდება. ფედერაციისთვის ეს დიდი თანხაა. ახლა ამბობენ, კვების რაციონი შვიდჯერ უნდა გაზარდონო. ბორჯომში ამასწინანდელ შეკრებაზე პრეზიდენტის სიტყვებით, ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, მწვრთნელები მზარეულებიც გახდნენ და ოფიციანტებიც. სიტყვა მწვრთნელებზე ჩამოვარდა და მოგახსენებთ, რომ ნაკრებს კახიაშვილის მწვრთნელი ივანე გრიქუროვი უდგას სათავეში. მას გარდა მუშაობენ: ზურაბ ანთაური, გიორგი თოდაძე, ავთანდილ გახოკიძე, გურამ მამიაშვილი. მათთან ერთად შრომობს გამოცდილი შოთა წერეთელი, რომელიც თვრამეტი წლის მანძილზე საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობდა. ზოგადად, მაინც მწვრთნელთა უკმარისობაა. ბევრმა საერთოდ გამოიცვალა მოღვაწეობის სფერო.

ძალოსნობას ჯერჯერობით ნაკლებად შეეხო სპორტსმენთა უცხოეთში გაქცევის სენი. აქ საუბარი რომელიმე კლუბთან კონტრაქტის დადებაზე კი არა, საერთოდ მოქალაქეობის და ზოგჯერ ეროვნების გამოცვლაზეა. ერთადერთი, ვისაც კლუბებიც და ქვეყნებიც იწვევენ კახი კახიაშვილია, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას და თუ კახი გაუცხოელდა, მაშინ სენი ძალოსნობასაც სერიოზულადაც დარევს ხელს. ჯერჯერობით უცხოეთში წასული ორი კაცია. დედით ბერძენმა ელგუჯა მინაძემ საბერძნეთის მოქალაქეობა მიიღო, ყოფილი საზომით საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ამირან ჭიტაძე კი ქუვეითში მწვრთნელად მუშაობს.

საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი თავდაცვის სამინისტროს სპორტკლუბის წევრია. ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე ამასწინათ შეხვდა თავდაცვის მინისტრს გიორგი ყარყარაშვილს და დაიმედებულმა დატოვა მისი კაბინეტი. მინისტრი მას სხვადასხვა პრობლემების სწრაფად მოგვარებას დაპირდა. პრეზიდენტმა სამადლობელ სიტყვაში არმიის სპორტკლუბის ხელმძღვანელების, ვიცე-პოლკოვნიკების ჯონი გაგოშიძისა და მიხეილ ფრიდმანის მოხსენიებაც გვთხოვა. მათ გარდა ჩვენი ძალოსნები მარნეულის გამგებლის, წარსულში ცნობილი ძალოსნის ნოდარ მუმლაძის მხარდაჭერასაც გრძნობენ.

იმედია, ნელ-ნელა მდგომარეობა გამოსწორდება და ჩვენს არეულ ქვეყანაში ყველას, მათ რიცხვში ძალოსნებსაც, ნორმალური სამუშაო გარემო შეექმნება. მით უფრო, რომ კახიაშვილის ოლიმპიური ოქროს შემდეგ შტანგებიან დარბაზებში ბავშვებმა შემოაბიჯეს.

**ილია ბაბუნაშვილი**

## თავისუფალი ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ტორონტო. 25-28 აგვისტო

48 კგ. 1. ალექს ვილა (კუბა), 2. ვულარ ორუჯევი (ბელარუსი), 3. სუნ-ვან იონი (კორეა), 4. ილიას სუქრუდოღლუ (თურქეთი)

52 კგ. 1. ვალენტინ იორდანოვი (ბულგარეთი), 2. გლოლამრეზა მოჰამადი (ირანი), 3. სერგეი ზამბალოვი (რუსეთი), 4. ზიკ ჯოუნზი (აშშ)

57 კგ. 1. ტერი ბრანდსი (აშშ), 2. სან იო შიმი (კორეა), 3. იზუგტბაი ცერენბაატარი (მონგოლეთი), 4. აურელიან ჩიფულესკუ (რუმინეთი)

62 კგ. 1. ტომ ბრანდსი (აშშ), 2. ლასარო რეინოსო (კუბა), 3. რამილ ატაულინი (უზბეკეთი), 4. ისმაილ ფაიქოღლუ (თურქეთი). დავით ბელთაძე ათეულში ვერ მოხვდა.

68 კგ. 1. აქბარ ფალაპი (ირანი), 2. ვადიმ ბოგუევი (რუსეთი), 3. კრის ვილსონი (კანადა), 4. თაუნსენდ სონდერსი (აშშ). ზაზა ზოზიროვი ათეულში ვერ მოხვდა.

74 კგ. 1. იონ-სუნ პარკი (კორეა), 2. დევიდ შულცი (აშშ), 3. ალბერტო როდრიგესი (კუბა), 4. თურან სეილანი (თურქეთი)

82 კგ. 1. სებაპათან ოზთურქი (თურქეთი), 2. საიგიდ კატინოვასოვი (რუსეთი), 3. რუსლან კინჩაგოვი (უზბეკეთი), 4. კევინ ჯექსონი (აშშ). 6. დავით ხურცია (საქართველო).

90 კგ. 1. აბას ჯადიდი (ირანი), 2. მელვინ დუგლასი (აშშ), 3. ელდარ კურტანიძე (საქართველო), 4. მახარბეკ ხადარცევი (რუსეთი)

100 კგ. 1. ლერი ხაბელოვი (რუსეთი), 2. ალი ქაიალი (თურქეთი), 3. მიხაელ ბალცი (გერმანია), 4. ტაე-ვუ კიმი (კორეა).

130 კგ. 1. ბრიუს ბაუმგარტნერი (აშშ), 2. მერაბ ვალიევი (უკრაინა), 3. ანდრეი შუმილინი (რუსეთი), 4. ზაზა თურმანიძე (საქართველო).

# «რაიდერის თასის» წინ

გოლფში დიდი შეჯიბრება ახლოვდება. 24-26 სექტემბერს დიდ ბრიტანეთში, ბელფრის გოლფ-კლუბში გათამაშდება „რაიდერის თასი“, რომლისთვისაც წელიწადგამოშვებით ერთურთს ეჯიბრებიან ამერიკისა და ევროპის პროფესიონალ მეგოლფეთა ნაკრებები.

„რაიდერის თასზე“ გუნდში 12 მოთამაშეა. ცხრა მათგანის ვინაობა შესარჩევი შეჯიბრებებით დგინდება, კიდევ სამს კი გუნდის მენეჯერი თავისი შეხედულებისამებრ ასახელებს. თავად შეჯიბრება მატჩების სერიაა, მატჩებში კი ერთი-ერთზე ან ოთხი-ოთხზე თამაშობენ.

26-29 აგვისტოს მსოფლიოს მოწინავე მეგოლფეები ორ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: აშშ-ში, ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონის გოლფ-კლუბში „მსოფლიო სერიის“ ტურნირი გაიმართა, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში კი — ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატი.

ამერიკის ნაკრები კარგა ხნის შედგენილია, ევროპის გუნდის შემადგენლობა კი დიუსელდორფის ტურნირს უნდა დაეზუსტებინა. ევროპულ კლასიფიკაციაში მოთამაშეთა განლაგება ისეთი იყო, რომ გუნდში მოხვედრის პრეტენდენტებს VIII-IX პოზიციებისთვისღა უნდა ეთამაშათ, რადგან დაწინაურებულ შვიდეულს ველარ დაეწეოდნენ.

ასე იყო თუ ისე, მასპინძელს, 36 წლის ბერნჰარდ ლანგერს, რომელმაც წელს US MASTERS-იც კი მოიგო, კლასიფიკაციაში პირველი ადგილი ეჭირა. შინ მისგან ყველა გამარჯვებას ელოდა და ასეც მოხდა.

ლანგერი თავიდანვე დაწინაურდა. დიუსელდორფის გოლფ-კლუბში გზის ნორმად 72 დარტყმაა დაწესებული. ლანგერმა პირველ წრეში ნორმაზე 7-ით უკეთესი (65) გაახერხა, მეორეში — 4-ით უკეთესი, მესამეში — 2-ით, ბოლო, მეოთხე წრეში კი — 6-ით უკეთესი და საბოლოოდ ოთხი წრის ჯამში 269 დარტყმა იკმარა, რაც ოთხგზის ნორმაზე (288) 19 დარტყმით უკეთესი აღმოჩნდა.

ლანგერმა ამგვარად მეექვსედ მოიგო GERMAN OPEN და ჰონორარად 108 330 დოლარი დაიმსახურა. რაც შეეხება ევროპის ნაკრებს, მასში პირველად მოხვდნენ იტალიელი და შვედი — კონსტანტინო როკა (მეოთხე ნომრად) და იოახიმ ჰაგმანი. 24 წლის ჰაგმანი, ორი ესპანელის — სევერიანო ბაიესტეროსისა და ხოსე-მარია ოლოსაბალის მხარდამხარ საგანგებოდ აირჩია გუნდის მენეჯერმა ბერნარდ გალაჰერმა.

აკრონში ნორმა 70 დარტყმა იყო. ლიდერობა ხელიდან ხელში გადადიოდა. პირველი წრე ამერიკელებმა — დევიდ ედვარდსმა და უმცროსმა ჯიმ გალაჰერმა 4-ით უკეთესით მოიგეს. მეორე წრეში ლიდერმა ოდენ ერთით უკეთესი აჩვენა, ჯამში 5-ით უკეთესი (135) დაუგროვდა, რის გამოც სხვები თითქმის წამოეწივნენ: ნიკ პრაისს (ზიმბაბვე), სტივ ელკინგტონს (ავსტრალია) და ფოლტონ ალანს (სამხრეთი აფრიკა) ნორმაზე 4-ით უკეთესი შედეგი ჰქონდათ, ანუ ედვარდსს ერთით დარტყმით ჩამორჩებოდნენ.

სამი წრის შემდეგ ტურნირს ერთბაშად ოთხი ლიდერი მოევლინა: ედვარდსი, გალაჰერი, პრაისი და გრეგ ნორმანი (ავსტრალია). ყველას ერთობ უფერული ჯამური შედეგი — ნორმაზე ოდენ 3-ით უკეთესი (207) ჰქონდა. ამ ოთხეულს თითო დარტყმით ჩამორჩებოდა კიდევ ოთხი მოთამაშე: 208 დარტყმა შეესრულებინათ ელკინგტონს, ალანს, კრეიგ სტადლერსა (აშშ) და დევიდ ფროსტს (სამხრეთი აფრიკა).



ბერნჰარდ ლანგერი

კვირას, ბოლო წრეში პირდაპირ სასწაული მოხდა. თუ ალანს გზის სამგზის გალევის შედეგად ნორმისთვის ორ დარტყმაზე მეტად ვერ ეჯობა, მეოთხედ გავლისას ერთბაშად 8-ით უკეთესი (62) შეძლო, ჯამში 10-ით უკეთესი (270) დააგროვა და 5 დარტყმით აჯობა შეჯიბრების შარშანდელ გამარჯვებულ სტადლერს, აგრეთვე პრაისსა და გალაჰერს.



# გრეცკის დაბრუნება

ხუთი წლის წინ, 1988 წლის 9 აგვისტოს, ყველაზე ცნობილი კანადელი ჰოკეისტი უეინ გრეცკი პირველად წარსდგა ჟურნალისტების წინაშე, როგორც „ლოს ანჯელესის კინგზის“ მოთამაშე. ამ დღეს მან ოფიციალურად დაამტკიცა გადასვლა „ედმონტონიდან“ „ლოს ანჯელესში“. კლუბის მფლობელმა ბრიუს მაკნოლმა სუპერფორვარდში ორი ჰოკეისტი, სამი პირველი დრაფტის უფლება და 15 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს იყო „ლოს ანჯელეს კინგზის“ ახალი დაბადების დღე.

წლეულს მაისში სტენლის თასის ფინალში „მონრეალ კანადიენსთან“ დამარცხების შემდეგ გრეცკი გამოეთხოვა ჰოკეის, და ეს მიუხედავად იმისა, რომ იგი თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თუმცა ფინალური სერიის პირველ მატჩში გრეცკის ისეთი რამ შეემთხვა, ჰოკეიში ძალიან იშვიათად რომ ხდება — შაიბა თავის კარში გაიტანა. ოვერტაიმებში „კანადიენსის“ გოლებმა იმედი გადაუწურა უეინს და მან ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) დატოვება ამცნო მსოფლიოს.

და აი, გასულ კვირას „ლოს ანჯელეს ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გრეცკის პირადმა აგენტმა მაიკლ ბარეტმა განაცხადა, რომ უეინი ერთი წლით მაინც უბრუნდება ჰოკეის და თავის მეთხუთმეტე სეზონს კვლავ მაკნოლის გუნდში ითამაშებს. 10 სექტემბერს „ჰოკეის პელე“ თავის გუნდთან ერთად ლეიკ ეროუჰედში მდებარე საწვრთნელ ბანაკში გაემგზავრება და სეზონისთვის მზადებას დაიწყებს.

ამასობაში NHL-ის რეპუტაციას ვილაცეებმა კინაღამ ჩრდილი მიაყენეს. „ვილაცა“ კლუბ „ოტავა სენატორზის“ მთავარი მენეჯერი ბრუს ფაიერსტოუნი აღმოჩნდა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა, რომ თითქოს ლიგის ჩემპიონატის ბოლო მატჩი მისმა გუნდმა განგებ წააგო, რათა ბოლო ადგილზე გასულიყო. საქმე ისაა, რომ ლიგაში ახალი ჰოკეისტების აყვანისას (დრაფტი) უპირატესობა ლიგის ყველაზე სუსტ გუნდს ეძლევა — ე.ი. ყველაზე ძლიერი დებიუტანტ-ჰოკეისტის ყიდვა ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გასულს შეუძლია, თუ, რა თქმა უნდა, თანხა ეყოფა, თუ არა და პირველი დრაფტის უფლების გაყიდვაც შეიძლება.

ლიგის ხელმძღვანელობამ არ დაახანა და გამოძიება ჩაატარა, რომლის შედეგიც ასეთი იყო: „იმის დამადასტურებელი არაფერი არსებობს, რომ „სენატორზმა“ რომელიმე თამაში ძალით წააგო“. ყოველი შემთხვევისთვის კი კლუბი, რომელშიც ენაჭარტალა მენეჯერი უკვე აღარ მუშაობს, 100 ათასი დოლარით დააჯარიმეს „ლიგის გარშემო არაჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისთვის“.

# როგორ იქცა სსრკ პირველობა მსოფლიოს ჩემპიონატად

საბჭოეთის დაშლამ არაერთი კურიოზი დაბადა. ერთი მათგანი შაშში მოხდა.

შაში, მოგეხსენებათ, მრავალნაირია. არსებობს საერთაშორისო — ას უჯრაზე, ოცი ქვით, რომელშიც ყოველგვარი ტიტული თამაშდება და სკანდალი თუ უცნაურობაც მრავლად ხდება: კაცი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება და თამაშს თავს დაანებებს; სხვები თურმე წინდაწინ მოილაპარაკებენ და რიგრიგობით ეუფლებიან ტიტულს; შავანი მეტოქეებს ქრთამავს, მომაგებინეთო; სხვა ჩემპიონი ახალგაზრდა კონკურენტის წინააღმდეგ მთელს კოალიციას კრავს და მისი შემწეობით მეტოქის „ჩაძირვას“ ცდილობს; ფედერაციის ხაზინიდან ფულები ქრება, მსოფლიოს ახალ ჩემპიონს კი გამარჯვებისათვის სარგო ჰონორარს უმალავენ და ა.შ.

მიუხედავად ყველაფრისა, ასუჯრიანი შაში მაინც დიდი და ამოუწურავ შესაძლებლობებიანი თამაშია, რაც ვერ ითქმის ყოფილ სსრკ-ში დიდად რეკლამირებულ რუსულ შაშზე, რომელსაც, ერთი რომ ჭადრაკის დაფაზე თამაშობენ, და მეორეც, სამი უხეირო წესის გამო ჰკვიანური თამაში ნამდვილად ვერ ერქმება.

რუსული შაში კრიზისს განიცდის, რაკიღა მთლიანად, მისხალ-მისხალაა გამოკვლეული. ამის გამოა, რომ შეჯიბრების ყოველ ტურში მეტოქეთა ყოველი წყვილი ერთმანეთს ორპარტიიან მიკრომატჩში ეჯიბრება, ხოლო თამაშში ერთფეროვნებას რომ გადაარჩინონ, წილს ყრიან და ირჩევენ დებიუტს, რომელიც მეტოქეებმა უნდა გაითამაშონ.

ასეა თუ ისე, რუსული შაშის შეჯიბრებები იმართებოდა და კვლავაც იმართება, ოღონდ წინათ თუ უდიდეს მათგანს სსრკ-ის პირველობა ერქვა, ახლა იმავე ტურნირს, ოდნავ უფრო გამოხშირულს, მსოფლიოს ჩემპიონატი ეწოდება.

საქმე ისაა, რომ სსრკ-ის დაქუცმაცებით მონაწილენი სხვადასხვა ქვეყნებში აღმოჩნდნენ გაფანტული და ახლა საერთაშორისო ასპარეზზეღა თუ შეხვდებიან ერთმანეთს.

აი, წელსაც, აგვისტოს პირველ ნახევარში, შუაგულ რუსეთში, ქალაქ ორიოლში გამართულა მსოფლიოს მეორე (!) პირველობა. მასში სამი სლავური ქვეყნის: რუსეთ — უკრაინა — ბელორუსიის გარდა მუსლიმური სამეული: უზბეკეთ — ტაჯიკეთ — ყაზახეთი და ისრაელიც ჩაბმულან. ისრაელი, მოგეხსენებათ, მასობრივი იმიგრაციის გამო ლამის მეთექვსმეტე რესპუბლიკად იქცეს: რაც უნდა იყოს, ამ ქვეყნის მოსახლეობის მესამედი დღესდღეობით რუსულად მეტყველებს და, აბა, რუსულ შაშს რა დაავიწყებდა! რაც შეეხებათ მუსლიმებს, მათ შაშის თამაშით ეტყობა კიდევ უფრო განამტკიცეს სლავურ-თურქული კავშირები.

სხვაგვარად მოიქცნენ ბალტია და კავკასია. პირველმა ალბათ სამუდამოდ დაიძვრინა თავი რუსულ შაშში სავალდებულო მონაწილეობისაგან, მეორეგან კი საშაშოდ არა სცხელათ.

მიხო ნინუა

## აქეთური, იქითური

ნამიბიის დედაქალაქ ვინდჰუკის მერმა მეტიუ შიკონგომ განაცხადა, რომ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა მძლეოსნობაში მსოფლიოს ამასწინდელი ჩემპიონატის გამარჯვებულის, 200 მეტრზე მორბენლის ფრენკი ფრედერიქსის სახელი. შტუტგარტიდან სამშობლოში დაბრუნებულ პირველ ნამიბიელ მსოფლიოს ჩემპიონს არნახული შეხვედრა მოუწყვეს. ქვეყნის პრეზიდენტმა სემ ნუიომამ მოუწოდა ახალგაზრდობას ფრედერიკსს მიბაძონ.

*

ბერლინში, ჰოკეისტთა ტრადიციულ ზაფხულის ტურნირზე „მილანის ლომებსა“ და პოლონეთის „ზლინის“ მატჩი დიდი მუშტიკრივით გამოირჩეოდა. ერთმანეთისთვის ცხვირ-პირის ჟეჟვის შედეგად პოლონელებმა 60 საჯარიმო წუთი გამოიმუშავეს, იტალიელებმა კი 80. ეს შეხვედრა „ლომებმა“ მოიგეს 5:1.

*

დელიში 13-14 სექტემბერს, ჯავახარლალ ნერუს სახელობის სტადიონზე გასამართ ტურნირში, ინდოეთის მძლეოსნობის სამოყვარულო ფედერაციის პრეზიდენტის, სურეშ კალმადის სიტყვით, მონაწილეობას აშშ-ს, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ჩინეთის, უენიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების ძლიერი ათლეტები მიიღებენ. უკვე ცნობილია, რომ შეჯიბრებაზე იასპარეზებენ სახელგანთქმული ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა და მომხიბვლელი იამაიკელი სპრინტერი, თანამედროვე მძლეოსნობის ერთ-ერთი დედოფალი მერლინ ოტი.

*

მძიმეწონოსანმა მოკრივემ ტომი მორისონმა უცნაური ბრძოლა ჩაატარა. კანზას-სიტიში (მისურის შტატი), „კემპერ არენაზე“ მან ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ვიღაც ტიმ ტომაშეკი. ეს „ვილაცა“ დარბაზიდან რინგზე მას მერე ავიდა, რაც გაირკვა, რომ მორისონის მეტოქე მაიკ უილიამსი დოპინგ-კონტროლამდე მცირე ხნით ადრე უგზოუკვლოდ გაქრა. პრეტენდენტი, რომ ვერ იპოვნეს, სანახაობას ჩაშლა დაემუქრა. ორგანიზატორებმა დარბაზს მიმართეს, ვინმეს გული ხომ არ გერჩითო: ასეთი ვაჟკაცი ტომაშეკი გამოდგა.

*

ჩინელებს მეტისმეტად სურთ, რომ 2000 წლის ოლიმპიადა პეკინში ჩატარდეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საბოლოო არჩევანს 23 სექტემბერს მონტე-კარლოში გააკეთებს. მანამდე კი ჩინელებს გადაუწყვეტიათ, მხოლოდ სარეკლამო და პროპაგანდის საქმეში 10-11 მილიონი დოლარი დახარჯონ.

*

ლილეჰამერის გაისინდელ ზამთრის ოლიმპიადაზე ერთი რეკორდი უკვე დამყარდა. იქ მონაწილეობის სურვილი უკვე სამოცდაცამეტმა ქვეყანამ გამოთქვა. ასეთი ქვეყანათმრავლობა არასოდეს ყოფილა: შარშან, ალბერვილში სამოცდაოთხმა ქვეყანამ იასპარეზა.

*

ამაზე იტყვიან, ვაი თქვენს პატრონსო. რუსმა ჰოკეის მწვრთნელმა ვლადიმერ ვასილიევმა, რომელიც „კიოლნს“ ხელმძღვანელობს და გუნდი გერმანიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გაიყვანა, კლუბთან ახალ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. არადა, ახალი კონტრაქტი სულაც არ ყოფილა საჭირო, რადგან ძველს ვადა 1995 წელს გაუდის.

*

პირველი აზიურ-აფრიკული თამაშები 1995 წელს დელიში გაიმართება. ჟურნალისტებს ეს სიახლე აზიის ოლიმპიური საბჭოს მდივანმა, რანდხირ სინგხმა აუწყა. შეჯიბრებები ჩატარდება კრივში, მძლეოსნობაში, ჩოგბურთში, ბალახის ჰოკეისა და ფეხბურთში. გადაწყვეტილება ტაივანში გამართულ სხდომაზე მიიღეს.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)